პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 267 (10353) | პარასკევი, 11 ნოემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

დღეს ნომერში:

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად! — „პრავდის“ 9/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).

მოსკოვს ჩამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. ჰერჰარდსენი (1-ლი გვერდი).

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

არქიტექტორები, დამპროექტებლები და მშენებლები იწონებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას (1-ლი გვერდი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების გზით. — ნ. ჯანჯღავა. — კაჭრეთელი კოლმეურნეები, მექანიზატორები ზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას (მე-2 გვერდი).

ლ. გრიგორიევი. — დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის 10 წელი (მე-3 გვერდი).

მტკიცედ დავიცვათ დედაქალაქში სახზოგადოებრივი წესრიგი (მე-3 გვერდი).

ი. ზერეკიძე. — ვანადღებთ ნაკისრ ვალდებულებებს (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის დეპეშები (მე-4 გვერდი).

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად!

უდიდესი პატრიოტული აღმავლობით იდღესასწაულა საბჭოთა ხალხმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავი. ამ დღისშესანიშნავ დღეებში მილიონობით საბჭოთა ადამიანმა კვლავ ცხადყო თავისი უსაზღვრო სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, თავისი მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო, ურყევი ნება — კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლოს კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ძალითა და ძლიერებით აღსავსემ დაიწყო საბჭოთა ქვეყანამ თავისი არსებობის 39-ე წელი. ოქტომბრის წლისთავის დღესასწაული წელს დაემთხვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის მზადებას. კომუნისტური პარტია თავის ყრილობას ეგებება ერთიანი და მონოლიითური, ხალხის საყოველთაო მხარდაჭერითა და სიყვარულით გარემოსილი. ღირსეულ შეხვედრას უმზადებს ყრილობას ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხი. ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავად.

კომუნიზმის მშენებლობის ლენინური გეგმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამა გახდა. მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღონისძიებებით ეს გეგმა წარმატებით ხორციელდება. ჩვენი ქვეყნის მუშები, გლეხები, ინტელიგენცია ოქტომბრის 38-ე წლისთავს შეხვდნენ თვალსაჩინო მიღწევებით სოციალისტური ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ვადამდე, 4 წელიწადსა და 4 თვეში შესრულდა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა. მიმდინარე წელს სამრეწველო წარმოება ერთისამად და უფრო მეტად გადაჭარბებს ომამდელი 1940 წლის დონეს. განსაკუთრებით დიდია ჩვენი წარმატებანი მძიმე მრეწველობის განვითარებაში, რომელიც კომუნიზმის, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისა და დამოუკიდებლობის საფუძველია საფუძველი.

საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყით შეხვდა სახიხარულო ცნობებს კუიბიშევის, კაზოვკის, გორკისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებელთა წარმატებების შესახებ. ბევრი საწარმოს კოლექტივებმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შეასრულეს საეგეგმო დავალებანი. გადაჭარბებით შეასრულეს მთელი მეტალურგიული ციკლის ათი თვის გეგმა ჩვენი ქვეყნის უდიდესმა მეტალურგიულმა კომბინატებმა — მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის კომბინატებმა, ცოტა წარმატება როდი მოიპოვეს ქვანახშირის მთელი რიგი საწარმოების მეშახტეებმა. მესამე კვარტალში პირველობა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში მოიპოვეს „მოსკვიჩოგოლის“ და „სვერლოვსკუგოლის“ კომბინატებმა. დიდი აღმავლობით შრომობს ნავთობის სარეწების ბევრი კოლექტივი. 400 ათას ტონაზე მეტი ნავთობი მიხცეს გეგმის გადამეტებით ჩვენს ქვეყანას მიმდინარე წელს თათრეთის მენავთობეებმა.

მანქანათმშენებლობის მუშაკები ყოველ ღონეს ხმარობენ ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანებისა და მოწყობილობის ათვისებისა და გამოშვებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მოსკოვის ავტომობილმშენებლებმა მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ვადამდე დაამთავრა თერთმეტი თვის პროგრამა ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის სახელგანთქმულმა კოლექტივმა; ურალის მანქანათმშენებლებმა წელს აითვისეს მთელი რიგი ახალი მანქანებისა. და აგრეგატების გამოშვება. დიდი მიღწევებით შეხვდნენ ოქტომბრის დღესასწაულს მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივებიც.

განუხრელად ხორციელდება პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობისაკენ. ჩვენს ქვეყანაში ათვისებულია ათეულ მილიონობით ჰექტარი უამირი მიწები, გადიდდა ნათესი ფართობები, მკვეთრად იმატა სიმინდის ნათესებმა, იზრდება მეცხოველეობა. მთელ რიგ აღმოსავლეთ რაიონებში არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში დამზადებულია შარშანდელზე მეტი პური.

ჩვენი წარმატებანი თვალსაჩინოა, მაგრამ ისინი უდარდელობისა და თვითდამშვიდების საბაბი არ უნდა გახდნენ. უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის ანდერძი იმის შესახებ, რომ „დიდი რევოლუციის წლისთავი რომ ვიდღესასწაულოთ, ამის საუკეთესო საშუალებაა — ყურადღება მივაპყროთ მის გადაუჭრელ ამოცანებს“. სწორედ კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების განზორციელებისაკენ მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს პარტია თავისი მოწოდებებში დიდი ოქტომბრის 38-ე წლისთავისათვის.

ჩვენი ქვეყანა უდიდესია, მოთხოვნილებები მუდამ იზრდება. პარტია გვასწავლის, რომ არ შეიძლება ვიყოყოჩოთ, თვითკმაყოფილებას ვეძლეოდეთ მიღწეული წარმატებებით. ჩვენი მოვალეობაა შეურიგებელად ვეპყრობოდეთ შეცდომებს, უფრო სწრაფად ვსპობდეთ ნაკლოვანებებს მუშაობაში, ვიბრძოდეთ ახალი, გაცილებით უფრო დიდი წარმატებებისათვის სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა გამოავლინა ხერხოზული ნაკლოვანებანი მრეწველობის მუშაობაში. ეს ნაკლოვანებებია უწინარეს ყოვლისა ახალი ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიის ნელა ათვისება და დანერგვა, საწარმოო ხიმძლავრეთა არასრული გამოყენება, ბევრი საწარმოს არარიტმული მუშაობა და შეცდომები საწარმოო ძალების განაწილებაში. ყველაფერი რიგზე როდია პროდუქციის ხარისხის მხრივაც. ხოციალისტური ინდუსტრიის მუშაკთა ამოცანაა უმოკლეს ვადებში აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ საწარმოთა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ასრულებს საგეგმო დავალებებს. მაგალითად, პროგრამას თავს ვერ ართმევს დონეცის აუზის ბევრი შახტი. სამეურნეო, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა თვითეული საწარმოს მუშაობისადმი, უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის.

სოფლის მეურნეობაში კიდევ არის ხერხოზული ნაკლოვანებანი ტექნიკის გამოყენებაში, შრომის ორგანიზაციაში და, რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა ყველაზე სრული დაკმაყოფილებისათვის. სამამულო და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა მხოლოდ სწრაფად და ფართოდ დანერგვით შევძლებთ მივაღწიოთ კაპიტალიზმთან შედარებით შრომის იმ მაღალ ნაყოფიერებას, რომელიც საჭიროა კომუნიზმის გამარჯვებისათვის. შრომის ნაყოფიერება ჩვენს მრეწველობაში განუხრელად დიდდება. და მაინც ჯერ კიდევ ხუთად ვიყენებთ ამ მხრივ არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც გვიჩვენებენ ტექნიკის უნარიანი გამოყენების, შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს. იმ მოწინავე ადამიანთა მეთოდები, რომლებიც შრომის ერთიოროად უფრო მეტ ნაყოფიერებას იძლევიან, ვიდრე საშუალო მუშა, მასობრივი მოვლენა უნდა გახდეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა სოციალისტური შეჯიბრება ავიყვანოთ ახალ საფეხურზე, ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ მთავარი რამ — მტკიცედ დავნერგოთ და გავავრცელოთ წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მიღწევები.

სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მეთაურობა გაუწიონ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, წარმართონ იგი ჩვენი მშენებლობის საარსებო ამოცანების გადაჭრისათვის. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავაჩაღოთ ნაკლოვანებათა კრიტიკა და ვიბრძოლოთ მათი აღმოფხვრისათვის.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად! ყოველი ღონისძიებით გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები და შესაძლებლობანი, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის მუშაობა!

„პრავდის“ 9/XI მოწინავე.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ეინარ ჰერჰარდსენი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 10 ნოემბერს მიიღო ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ეინარ ჰერჰარდსენი. ბატონ ჰერჰარდსენს ახლდნენ ნორვეგიის ვაჭრობის მინისტრი არნე სკაუგი და ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ერიკ ბროდლანდი.

ნ. ა. ბულგანინთან ე. ჰერჰარდსენის საუბარს დაესწრნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი და საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ტ. ს. მალცევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ამხ. ტ. ს. მალცევის დაბადების მესამოცე წლისთავთან დაკავშირებით და ნიადაგისა და ნათესის დამუშავების იმ ახალი ხერხების შემუშავებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებას, შადრინსკის საცდელი სადგურის დირექტორს — კურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მემინდვრეს ამხ. ტერენტი სიმონის-ძე მალცევს მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს ვარსკვლავი „ნამგალი და უროო“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წ. 9 ნოემბერი.

მოსკოვს ჩამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. ჰერჰარდსენი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 10 ნოემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ე. ჰერჰარდსენი მეუღლითურთ. მასთან ერთად ჩამოვიდნენ ვაჭრობის მინისტრი ა. სკაუგი მეუღლითურთ და საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ბიუროს უფროსი გ. ჰეიბერგი, ნორვეგიელ ჟურნალისტთა ჯგუფი. ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნორვეგიაში გ. პ. არკადიევი.

ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე პრემიერ-მინისტრ ე. ჰერჰარდსენსა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრები კ. პ. გორშენინი, ა. ა. იშკოვი, ი. გ. კაბანოვი, მ. დ. კოვრიგინა, ნ. ა. მიხაილოვი, ზ. ა. შამკოვი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარიოვი, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი, სსრ კავშირის მინისტრთა მოადგილეები ს. ა. ბორისოვი, ვ. ა. ზორინი, ვ. ს. სემიონოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ს. ა. აფანასიევი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი.

პრემიერ-მინისტრ ე. ჰერჰარდსენს შეხვდნენ აგრეთვე ნორვეგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ე. ბროდლანდი, საელჩოს თანამშრომლები, სსრ კავშირში მყოფი ნორვეგიის სავაჭრო დელეგაციის მეთაური ს. სომერფელტი, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების უფროსი ო. ოსი.

აეროდრომზე იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

... თვითმფრინავი ძირს ეშვება. ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი და სხვა შემხვედრი პირნი გულითადად ესალმებიან ნორვეგიის პრემიერ-მინისტრ ე. ჰერჰარდსენს, მის მეუღლეს და პრემიერ-მინისტრის თანმხლებ პირთ.

პრემიერ-მინისტრ ე. ჰერჰარდსენის შესახვედრად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა ნორვეგიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ბ-ნმა ე. ჰერჰარდსენმა აეროდრომზე შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრ ე. ჰერჰარდსენის სიტყვა

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ნორვეგიის დელეგაციის სახელით, მივესალმები საბჭოთა კავშირს და მადლობას ვუძღვნი მის მთავრობას თავაზიანი მოწვევისათვის.

საბჭოთა კავშირი მძლავრი მსოფლიო სახელმწიფოა. ნორვეგია პატარა ქვეყანაა. დიდ ქვეყანასაც და პატარა ქვეყანასაც სურთ იცხოვრონ თავიანთი დამოუკიდებელი ცხოვრებით — თავისუფლად და მშვიდობიანად. ასეთ საფუძველზე მოგვიწვია საბჭოთა კავშირმა, და ასეთსავე საფუძველზე ჩვენ სიხარულით მივიღეთ მოწვევა სტუმრად ჩამოვსულიყავით საბჭოთა კავშირში.

მოხარული ვიქნებით ვნახოთ თქვენი ქვეყანა და დავამყაროთ კონტაქტი მის ადამიანებთან. მოვედი რა დღეს, ომის დამთავრების 10 წლის შემდეგ საბჭოთა კავშირში, როგორც ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი, მსურს, რომ პირველი სიტყვები საბჭოთა მიწაწყალზე წარმოთქვა საბჭოთა ქალებისა და მამაკაცების ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებმაც საერთო საქმეს შესწირეს სიცოცხლე. ნორვეგიელი ხალხი არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხის წვლილს მეორე მსოფლიო ომში და განსაკუთრებით მის მონაწილეობას ნორვეგიის განთავისუფლებაში.

ნორვეგიის მთავრობის სახელით და ყველა ნორვეგიელის სახელით მსურს ნორვეგიის დიდი მადლობა ვუძღვნა საბჭოთა კავშირის ხალხებს.

თავისი საზღვრების გაყოლებით მსოფლიოს ორ ნაწილში საბჭოთა კავშირს ბევრი დიდი და პატარა მეზობელი ჰყავს. ჩრდილოეთის პოლუსის მიმართულებით მას საერთო საზღვარი აქვს ნორვეგიასთან, და თუმცა ეს ნაკვეთი დიდი არ არის, მაგრამ იგი მეზობლად ხდის ჩვენს ორ ხალხს. ჩემს ქვეყანაში ადამიანები შორს ცხოვრობენ ერთიმეორისაგან, ზღვასთან ან მთების გაყოლებით. ველურ სტიქიონთან ბრძოლამ ასწავლა ნორვეგიელებს იქონონ თავიანთი თავის იმედი, მაგრამ ისინი აგრეთვე დიდად აფასებენ კეთილმეზობლობასა და კარგ მეგობრებს. ისევე როგორც ხალხი, ჩვენ ვაფასებთ კეთილმეზობლურ ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან.

საერთო საქმეში შეტანილმა საერთო წვლილმა მტკიცე კავშირი შექმნა საბჭოთა კავშირსა და ნორვეგიას შორის. მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ მოლაპარაკება, რომელიც მექნება საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან, ხელს შეუწყობს ორივე მეზობელი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცების საქმეს. მტკიცედ მწამს, რომ ის, რაც ჩვენ გვაახლოვებს ყოველთვის გაიმარჯვებს იმაზე, რასაც შეუძლია გაგვთიშოს.

მე მსურს, რომ ნორვეგიის ამ ვიზიტმა მისცეს ნორვეგიასა და საბჭოთა კავშირს ერთმანეთის პრობლემათა უფრო ნათელი გაგება. ნორვეგიასა და საბჭოთა კავშირს შორის არასოდეს არ ყოფილა ომი ან მტრობა. ჩვენს ქვეყნებს შორის მუდამ მშვიდობა არსებობდა.

დაე ჩვენი ხალხების მომავალიც ყოველთვის ემყარებოდეს მშვიდობასა და პროგრესს. (საკდესი).

უცხოეთის პროფკავშირული და მუშათა დელეგაციები იყვნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმში

უნგრეთის, დანიის, მონღოლეთის, რუმინეთის, ურუგვაის, ჩეხოსლოვაკიის, შოტლანდიის, იუგოსლავიის პროფკავშირული დელეგაციები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ფინეთის მუშათა დელეგაციები, აგრეთვე ინდოეთისა და საფრანგეთის პროფკავშირული მოღვაწეები, რომლებიც საბჭოთა კავშირში არიან საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით, 1955 წლის 8 ნოემბერს იყვნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკეს იგი.

გვირგვინით შემკობის შემდეგ უცხოელმა სტუმრებმა დაათვალიერეს ვ. ი. ლენინის სახლი-მუზეუმი გორკაში. (საკდესი).

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

პროდუქცია გეგმის გადამეტებით

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან პარტიის XX ყრილობას. მათ განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იმუშავეს ოქტომბერში, საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს მარგანეცის გამოღების, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა და, რაც მთავარია, პირველი ხარისხის მადნის გამოშვების გეგმები. ოქტომბერში მარგანეცის ტრესტმა ვადაზე ათი დღით ადრე შეასრულა ათი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით მისცა სამშობლოს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

წარმატებით მუშაობენ ლენინის, სტალინის, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებიც გეგმის გადამეტებით იძლევიან მარგანეცს და ახალ საჩუქრებს ამზადებენ მშობლიური პარტიის XX ყრილობის შესახვედრად.

ნლიური გეგმა ორი თვით ადრე

მახარაძე. (საკ. კორ.). ფაიფურის ქარხნის მუშაკებმა ოქტომბრის დღესასწაულისა და პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გაადღიდეს და პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 5 ნოემბრისათვის 102,7 პროცენტით შეასრულეს. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 12,3 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 9,8 პროცენტით. დაგროვების გეგმა ქარხანამ 146 პროცენტით გაანაღდა.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე სახელმწიფოს მისცეს 300 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

შრომითს ვახზე

ბათუმი. (საკ. კორ.). დადგნენ რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ბათუმელმა კონდიტრებმა ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის დავლება 7 ნოემბრისათვის გაენაღდებინათ.

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შედეგად ფაბრიკაში დღითიდღე მაღლდება შრომის ნაყოფიერება. კონდიტრებს ბევრად შეუწყო ხელი გამოცდილებამ, რომელიც ამას წინათ ფაბრიკის მუშაკთა ჯგუფმა ლენინგრადის საკონდიტრო საწარმოებში ყოფნისას მიიღო.

25 ოქტომბერს ფაბრიკის კოლექტივმა შეასრულა ხუთწლედის დავალება. ახლა იგი წარმატებით იბრძვის მიმდინარე წლის გეგმის შესრულებისათვის.

არქიტექტორები, დამპროექტებლები და მშენებლები იწონებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას

დიდ შესაძლებლობათა წყარო

გუშინ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ. ამ დადგენილებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია საქართველოში მომუშავე არქიტექტორებს, დამპროექტებლებსა და მშენებლებს შორის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ბ. ლორთქიფანიძემ ამ დადგენილების შესახებ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ მხურვალე გამოხმაურება გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის არქიტექტორთა და არა მარტო არქიტექტორთა, არამედ აგრეთვე მშენებელთა საზოგადოებრიობაში. ყველანი, როგორც არქიტექტორები, ისე მშენებლები, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ამ დადგენილებას და აღნიშნავენ, რომ საქართველოშიც ადგილი ჰქონდა შენობათა გარეგნული შემკობა-გალამაზებით ვატაცებას, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ბინების შიგნითა დაგეგმვისა და მოწყობის გაუმჯობესებას, მიბინადრეთათვის მეტი მოხერხებულობის შექმნას.

საქართველოს არქიტექტორთა ამასწინანდელ ყრილობაზე აღინიშნა თითქმის ყველა ის ნაკლი, რომელიც ახასიათებს ჩვენი არქიტექტორებისა და დამპროექტებლების მუშაობას. ყრილობაზე და აგრეთვე ჩვენს პრესაში ბევრი ითქვა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ადმინისტრაციული შენობისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობის შესახებ (ზელენჯაშვილის ქუჩაზე). მოსავალში აღარ უნდა დაეშვათ შენობათა ფასადების მოპირკეთების ხარჯების გადიდება და დაპროექტებისა და მშენებლობის დროს მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ მშენებლობის ეკონომიკის საკითხებს, შეეკმნათ მოხერხებული ბინები, სკოლები, საავადმყოფოები, საზოგადოებრივი სარგებლობის შენობები.

საინტერესოა ერთი ფაქტი. არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ ამას წინათ მომართა დამპროექტებელ ორგანიზაციებს გადაეხედათ უკვე დამუშავებული პროექტები და ეკონომიკის თვალსაზრისით შეეტანათ კორექტივები, გაემარტივებინათ ეს პროექტები და მიეღწიათ დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის თავიდან აცილებისათვის. მხოლოდ ერთმა საპროექტო ორგანიზაციამ — „საქსახპროექტმა“ შეგვატყობინა, რომ არსებული პროექტების გადახედვისა და არქიტექტურული ზედმეტობის თავიდან აცილების თვალსაზრისით გამარტივების შედეგად ამ პროექტებით გათვალისწინებული სახლების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა 12 მილიონი მანეთით არის შემცირებული.

დანარჩენი საპროექტო ორგანიზაციებიდან ჯერ არ მიგვიღია ცნობები. მათ დღეს ხელახლა მოვაგონეთ, რომ ეს სამუშაო — არსებული პროექტების გადასინჯვა გამარტივების მიზნით მალე უნდა დამთავრონ და სათანადო ცნობები დაუყოვნებლივ წარმოუდგინონ მინისტრთა საბჭოს, მაგრამ მარტო ამ ერთი საპროექტო ორგანიზაციის მაგალითიც ცხადყოფს, თუ რა დიდი რეზერვები გაგვაჩნია მშენებლობის შემდგომი გაიაფებისათვის. ცხადია, პროექტების გამარტივება, არქიტექტურული ზედმეტობის ლიკვიდაცია ჩვენ უნდა მოვახდინოთ არა მექანიკურად, არა ხელაღებით, არამედ შემოქმედებითად.

ჩვენს რესპუბლიკაში ახლა ვამუშავებთ სამოქალაქო მშენებლობის ტიპურ პროექტებს 3,4 და 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლებისას. ვამუშავებთ აგრეთვე ბტა-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთათვის ერთსართულიანი (2 და 3 ოთახიანი ბინებით) სახლების ტიპურ პროექტებს, რომელთა მიხედვითაც ახალი სახლების მშენებლობას შეეუდგებით მომავალ წელს.

გავამარტივოთ, გავაიაფოთ მშენებლობა

გულდასმით განვიხილეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“. პირველი საერთო-სამშენებლო ტრესტის მშენებელთა შორის პარტიისა და მთავრობის ამ დიდმნიშვნელოვანმა დოკუმენტმა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

მშენებლებს ადრევე ჰქონდათ თავიანთი პრეტენზიები არქიტექტორების მიმართ. უნდა ითქვას, რომ თბილისელი დამპროექტებლებიც ზედმეტად იყენენ ვატაცებულნი შენობათა გარეგნული შემკობა-გალამაზებით, ნაკლებად ზრუნავდნენ ბინების შიგნითა მოწყობილობის გაუმჯობესებაზე.

ჩვენი ტრესტი საბურთალოში კომინტერნის ქუჩაზე აშენებს საცხოვრებელი სახლების კომპლექსს (არქიტექტორი კ. გალდავა). პროექტით ფასადები გადატვირთული იყო ნაძერწი ნაკეთობებით, კაპიტელებით და სხვა ზედმეტი ელემენტებით, რაც ფაქტიურად არაფერს მატებდა შენობას, უკარგავდა პლასტიკურობასა და სილამაზეს. ფასადის ზედმეტობით უგულებელყოფილი იყო ნორმალური ექსპლოატაციის მოთხოვნები — ხუთ-ექვს ოთახზე მოდიოდა ერთი სამზარეულო და სანიტარული ტექნიკის ერთი ბლოკი.

მშენებლებმა მოითხოვეს ზედმეტობის მოხსნა. ეს 225.000 მანეთ ეკონომიას მოგვცემს, ხოლო ამ თანხით შეიძლება აშენდეს ოთხბინიანი სახლი.

ბაღლოვის ქუჩაზე ექვსი სამსართულიანი სახლის მშენებლობის პროექტი ითვალისწინებდა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციის ლავგარდანებს, ლითონის მხატვრულად გაფორმებულ ღობეს, ეზოს ფასადის მორთვას. ჩვენი მოთხოვნით რკინაბეტონის კონსტრუქციის ნაცვლად ლავგარდანები აშენდა აგურით, აგრეთვე შეიცვალა ლითონის ღობე. ამან დიდად გააიაფა მშენებლობა, შეამცირა ვადები.

სამწუხაროდ, პროექტის ყველა ავტორი და საპროექტო ორგანიზაცია როდი უჭერს მხარს მშენებელთა გონივრულ მოთხოვნებს. მთავრდება მშენებლობა პოლიგრაფიის მუშაკთა საცხოვრებელი სახლისა, რომლის ფასადი გადატვირთულია მორთულობებით, მეხუთე სართულზე გაერთიანებული აივნით. ამ აივნის ზედმეტობას გრძნობენ როგორც შემკვეთები, ისე მშენებლები. საკითხი აივნის მოხსნის მიზანშეწონილობის შესახებ კარგახანია აღვძარით, მაგრამ შედეგს ჯერაც ვერ მივაღწიეთ. ასევე შეიძლება ითქვას ნავთლუღში მექანიკური ქარხნის მშენებლობაზე, სადაც უნდა გამოვიყენოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები ნაცვლად პროექტით გათვალისწინებული მონოლითური კონსტრუქციებისა. ეს შეამცირებს მშენებლობის ღირებულებასა და ვადას.

მშენებლობის შემდგომი გამარტივებისათვის საჭიროა არქიტექტორებს მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ მშენებლებთან, პროექტების განხილვაში მონაწილეობა მიიღონენ იმ ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ვისთვისაც აპროექტებენ შენობას.

სამწუხაროდ, არქიტექტორები და დამპროექტებლები ხშირად ანგარიშს არ უწევენ მშენებელთა აზრს. ამას წინათ საქართველოს საბჭოთა არქიტექტორების ყრილობაზე მშენებლები არ მიუწვევიათ, თუმცა მათ სიტყვას ამ ყ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების გზით

კაჭრეთელი კოლმეურნეები, მექანიზატორები ზრდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას

მემინდვრეობა და მეცხოველეობა კაჭრეთის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებს წარმოადგენენ. ამიტომ ბუნებრივია, რომ კოლმეურნეები დიდ ყურადღებას აქცევენ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებას. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებმა ისინი ახალი შრომითი აღმავლობისათვის აღაფრთოვანა.

მართალია, შარშან ბევრი საქმიანი ღონისძიება იყო დასახული, ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო მტს-ების მუშაობას, ამაღლდა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, მაგრამ მაინც რაიონის სოფლის მეურნეობაში ძირეული ცვლილება არ მომხდარა. განსაკუთრებით ჩამორჩებოდა მეცხოველეობა, საკვების დაგროვების საქმე; 3.007 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს მხოლოდ 7,64 ცენტნერი სიმინდი, ცალკე სასილოსედ არ გამოუყენებიათ სიმინდის მწვანე მასა; არ შესრულებულა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის და პროდუქტიულობის გადიდების გეგმები. 1954 წელს რაიონში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მოწველილი იყო 344 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა. სანახევროდაც არ შეუსრულებიათ მატყლისა და კვერცხის მიღების დავალებანი.

როცა კაჭრეთის რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობების საერთო კრებებმა გულდასმით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, კონკრეტული ღონისძიებები დასახეს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საქმეში არსებული ჩამორჩენის სწრაფად აღმოფხვრისათვის. ამავე დროს კომუნისტებსა და კოლმეურნეებს მოაგონეს ამ პლენუმზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში მოცემული მითითება:

„მეცხოველეობის საკვები ბაზის საკითხი პირველად როდი ისმება. რატომ არის, რომ მაინც ვერ ვიღებთ საჭირო შედეგს? ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ადგილებზე ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ გარდატეხას ბევრი ხელმძღვანელის შეგნებაში, რომლებიც შეცდომით ფიქრობენ, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების მიღწევა შეიძლება ისე, რომ პირუტყვი უხვად არ ვკვებოთ სხვადასხვა და მაღალი ხარისხის საკვებით. უბედურება ის არის, რომ ბევრი ხელმძღვანელი კმაყოფილდება საკვებზე სიტყვის წარმოთქმით და რეზოლუციების შედგენით და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ აჩაღებს მედგარ ბრძოლას საკვების წარმოების გაღიდებისათვის“.

კაჭრეთელმა კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებიდან და ამ პლენუმზე ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებიდან სერიოზული დასკვნები გააკეთეს. მათ შემოქმედებითი შრომა გაიჯიღეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს.

მარცვლეულის წარმოების გადიდების ღონისძიებანი

ამ საკითხზე პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეობები წინა წლებშიც მსჯელობდნენ, იღებდნენ დადგენილებებს, მაგრამ მაინც არ იყო სათანადოდ გამოყენებული მარცვლეულის წარმოების გადიდების რეზერვები, შესაძლებლობანი. ყველა ამ საშუალების ამოქმედება უმთავრესად წელს მოხდა. 1955 წლისათვის დათესილი იყო საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული კულტურები 17.574 ჰექტარი, აქედან სიმინდი 3.200 ჰექტარამდე. წელს პირველად განხორციელდა სიმინდის მეორე მოსავლის მოყვანის ღონისძიება. ნაწვერალზე სიმინდი დათესა 1.013 ჰექტარი. ამ საქმის რეალობა ბევრს არ სჯეროდა, ნაწვერალზე ჩაყრილ თესლსაც დაკარგულად თვლიდა.

მაგრამ შესანიშნავმა შედეგებმა მთლიანად გააქარწყლა ეჭვები. ყველა დარწმუნდა იმაში, რომ აგროტექნიკური წესების დაცვით, მოწინავე გამოცდილების გამოყენებით შესაძლებელია მოვიყვანოთ სიმინდის მეორე მოსავალი და ერთსა და იმავე დროს გადაწყვიტოთ ორი ამოცანა: სიმინდით შევავსოთ მარცვლეულის რესურსები და მისი დეროსაგან მივიღოთ კარგი სილოსი.

ამ მხრივ მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს სოფელ ნანიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას. აღსანიშნავია, რომ ნანიანელებმა წელს სიმინდს სანამუშოდ მოუარეს, აგროტექნიკურ ვადებში დათესეს და დაამუშავეს. შედეგებმა მოლოდინს გადაამეტა. მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 35 ცენტნერზე მეტი სიმინდი. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქ ნაწვერალზე სიმინდი დათესეს 53 ჰექტარი და მიიღეს მეორე მოსავალი მარცვლად, აგრეთვე კარგი სასილოსე მასა.

ნაწვერალზე სიმინდის მოყვანის შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ჯიჭურაშვილმა განაცხადა: გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ნაწვერალზე სიმინდის თესვა უნდა მოხდეს ორ-სამ დღეში. ჩვენც ასე მოვიქეცით. მაგალითად, დღეს აღებული ფართობი იმ საღამოსვე მოიხნა, მეორე დღეს ყოველმხრივ მომზადდა თესვისათვის, ხოლო მესამე დღეს ამ ნაწვერალზე დავთესეთ სიმინდი. ორჯერ ჩავატარეთ ორმხრივი კულტივაცია. ამის საშუალება მოგვცა კვადრატულ-ბუდობრივად თესვამ. შემდეგ ორჯერ გავთოხნეთ. ასეთ პირობებში ოცდახუთმა ჰექტარმა სანაწვერალო სიმინდმა მარცვლად მოგვცა მოსავალი და, რაც მთავარია, პირველ მოსავალზე უკეთესი. საშუალოდ ჰექტარზე ვიღებთ 40-45 ცენტნერს ტაროთი.

მეცხოველეობის დარგის წინსვლის შედეგად კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა ხორცის, რძის, კვერცხის სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური გეგმები.

ნანიანელებმა უკვე დაასილოსეს 710 ტონა საკვები, გეგმა კი 450 ტონას ითვალისწინებდა. დამატებით კიდევ დაასილოსებენ ნაწვერალზე დათესილი სიმინდის მწვანე მასას. ამ სამუშაოებში ავანგარდული როლი გვიჩვენეს კომუნისტებმა ა. გოგინაშვილმა, ა. გოგილაშვილმა, ი. ზირაქაშვილმა, ვ. გოგინაშვილმა, ნ. კუპრავაშვილმა, ა. ჯიჭურაშვილმა და სხვებმა.

ბადიაურის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა წელს სიმინდის თესვის დავალება გადაჭარბეს. ამას გარდა ნაწვერალზე დათესეს 600 ჰექტარი სიმინდი. აქედან 100 ჰექტარზე სიმინდის ჯარგ მოსავალს იღებენ მარცვლად, დანარჩენიდან კი საუცხოო სასილოსე მასას. ყურადღების ღირსია ზოგადოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი სანაწვერალო სიმინდის მოყვანის საქმეში. აქ რამდენიმე ჰექტარზე სიმინდი მესამე დღესვე დათესეს და მიიღეს საუცხოო მოსავალი მარცვლად, ხოლო იმ ნაკვეთზე, სადაც ნაწვერალზე თესვა ათი დღით დააგვიანეს, მხოლოდ სასილოსე მასა მიიღეს. აქედან დასკვნა: მეორე მოსავლის მიღებისათვის გადამწყვეტია ნაწვერალზე სიმინდის თესვა მეორე-მესამე დღესვე და მისი დროულად დამუშავება.

ბადიაურელმა მექანიზატორებმა წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა ათ სამუშაო დღეში შეასრულეს, შარშან კი ოც სამუშაო დღეში. ამ საქმეში თავი ისახელეს კომბაინერებმა. მაგალითად, ა. გულაღაშვილმა ათ დღეში მომკა 627 ჰექტარი, გეგმა კი 280 ჰექტარს ითვალისწინებდა, ს. ოგანეზოვმა მოსავალი აიღო 593 ჰექტარზე, ხოლო შ. ალუღიშვილმა ცხრა დღეში მომკა 507 ჰექტარი. მექანიზატორები აქედანვე უყრიან საფუძველს მომავალი წლის უხვ მოსავალს.

დაგეგმვის ახალი წესი მოქმედებაში

რა არის საჭირო იმისათვის, რომ დავძლიოთ ჩამორჩენა? რით დავიწყოთ, რომ მოკლე ხანში გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, ყოველმხრივ განვამტკიცოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა? არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხებზე რაიონში გასულ წლებშიც არ იყო მსჯელობა და არ ცდილობდნენ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას. მაგრამ იყო კოლმეურნეობათა წარმოების დაგეგმვის არასწორი პრაქტიკა. აქედან გამოსავალი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა.

ამის შესაბამისად წელს ადრე გაზაფხულზე რაიონის კოლმეურნეობებმა თვითონვე დაგეგმეს ნათესები, აირჩიეს ის კულტურები, რომლებიც უფრო ხელსაყრელი იყო ადგილობრივ პირობებში. გასულ წლებთან შედარებით გადიდდა ხორბლის, ქერის ნათესები, განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო სიმინდის კულტურას. კოლმეურნეობათა პერსპექტივული გეგმებით გათვალისწინებულია სიმინდის ფართობების ყოველწლიური ზრდა, ამავე დროს დიდდება ნაწვერალზე ნათესი სიმინდის, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენების ფართობები. საკმარისია ითქვას, რომ თუ შარშან რაიონში სანაწვერალო სიმინდი სულ არ ჰქონდათ, წელს მან ათას ჰექტარს გადაამეტა.

პირველად განხორციელდა სიმინდის ტაროს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში დაკონსერვება. დაგეგმვის წინანდელი წესის მიხედვით საკმაოდ დიდ ფართობზე ითესებოდა ფეტვი, რომელიც უმნიშვნელო მოსავალს იძლეოდა. ახლა კი ფეტვის თესვა კოლმეურნეობებმა არ დაგეგმეს და მცირე ფართობი დატოვეს სათესლედ. ბევრგან ხილი არ მოდის და მაინც რგავდნენ. ახლა ეს მდგომარეობაც გამოსწორდა.

კოლმეურნეობათა მიწებზე კარგად ხარობს ვენახი, რომელსაც შეუძლია დიდი შემოსავალი მისცეს კოლმეურნეებს. ამიტომ პერსპექტივულ გეგმებში გათვალისწინებულია მეურნეობის ამ დარგის განვითარება. მარტო წელს შემოდგომაზე რაიონში 300 ჰექტარამდე ახალი ვენახი გაშენდება. საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვის ახალი წესი მოქმედებაშია და ხელს უწყობს საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებას.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის წყაროები

არის საკვები — იქნება რძე, ერბოკარაქი, ყველი, ხორცი... ამ ამოცანის გადასაწყვეტად რაიონის ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს.

საკმარისია ითქვას, რომ თუ 1953 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე 300, ხოლო 1954 წელს 344 ლიტრი რძე მიიღეს, გასულ სამეურნეო წელს ერთ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 723 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ლიტრისა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდეს წველადობის დავალებანი კაკაბეთის ცხაკაიას, მახარაძის, შვერნიკის სახელობის, ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის, კაჭრეთის კიროვის სახელობის, ნანიანის კალინინის სახელობის, ბოგდანოვკის სტალინის სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა.

რაიონმა წელს უხეში საკვების დაგროვების დავალება წარმატებით შეასრულა. რვა ათასი ტონა თივის ნაცვლად დამზადებულია 9.237 ტონა, შარშანდელთან შედარებით წელს კოლმეურნეობები ერთიორად ადიდებენ სილოსის წარმოებას. თორმეტი ათასი ტონა სილოსის ჩადების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. ახლა გაჩაღებულია სანაწვერალო სიმინდის მწვანე მასის ჩადება. აღსანიშნავია, რომ შარშან სილოსი მზადდებოდა მხოლოდ და მხოლოდ გარეული ბალახებისაგან, წელს კი ძირითადად სიმინდი დაასილოსეს, რაც ძვირფასი ყუთათანი საკვებია პირუტყვისათვის.

თუ წინა წლებში კოლმეურნეობათა უმრავლესობა ჩამორჩენილი იყო, ახლა რაიონის ცხრამეტი კოლმეურნეობიდან კვლავ ჩამორჩენილია მხოლოდ ოთხი. მაგალითად, წველადობის გეგმები ვერ შეასრულეს სოფელ ზიარის ჟდანოვის სახელობის, კაკაბეთის ვოროშილოვის სახელობის, შიბლიანის დიმიტროვის სახელობის, დუზაგრამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა. ეს ჩამორჩენა არ იქნებოდა, მათთვის დროული, საქმიანი დახმარება და ხელმძღვანელობა რომ გაეწიათ რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს.

მაღალპროდუქტიული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარება პირუტყვის მოვლა-შენახვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას მოითხოვს. ეს უმთავრესად დამოკიდებულია სასილოსე კოშკებისა და ტრანშეების მოწყობაზე, კულტურული, თბილი სადგომებით პირუტყვის უზრუნველყოფაზე. კაჭრეთელებმა ამ მხრივაც ცუდად როდი იმუშავეს. წელს უნდა აეშენებინათ 4.750 ტონა საკვების ტევადობის ახალი კოშკები და ტრანშეები, ფაქტიურად ააშენეს 8.166 ტონის ტევადობისა.

მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის საქმეში დღემდე არაფერი არ გაკეთებულა სოფელ ზიარის ჟდანოვის სახელობის, შიბლიანის დიმიტროვის სახელობის, კაკაბეთის ვოროშილოვის და დუზაგრამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. ისინი სხვა დარგებშიც ვერ გამოიყურვებიან კარგად. ამიტომ ყოველი ღონისძიებით უნდა უზრუნველვყოთ ამ კოლმეურნეობათა ჩაყენება მოწინავეთა რიგებში. ეს კაჭრეთისა და ბადიაურის მტს-ების ღვიძლი საქმეა.

საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორთა კადრები

მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამოცდილება გვაჩვენებს, რომ თუ თავმჯდომარე კარგი ორგანიზატორია, ყოველთუნდაც ჩამორჩენილ კოლმეურნეობას შეუძლია ერთ-ორ წელიწადში წამოსწიოს საზოგადოებრივი მეურნეობა. ეს ჩანს კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობათა მაგალითით. საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელ პოსტებზე წელს დაწინაურებულია ბევრი უნარიანი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, სპეციალისტი. ყოველივე ამან დადებითი შედეგი მოგვცა.

პარტიის მოწოდებით წავიდა და სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმში“ რამდენიმე თვეა თავმჯდომარედ მუშაობს აგრონომი ს. გაგოშიძე. იგი წლების განმავლობაში ტუშაობდა მიწგანის გამგედ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად, რაიკომის მდივნად კაჭრეთის მტს-ის ზონაში.

ახალმა თავმჯდომარემ საფუძვლიანად შეისწავლა კოლმეურნეობის ყველა დარგი, გამოავლინა რეზერვები, გამოუყენებელი შესაძლებლობანი და პარტიულ ორგანიზაციაზე დაყრდნობით დარაზმა აქტივი და კოლმეურნეები სიძნელეთა გადასალახავად.

დიდი ყურადღება მიაქციეს მარცვლეულის წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საკითხებს. განვითარეს სიმინდის კულტურა, შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა. მარტო სიმინდის მწვანე მასისაგან ჩადეს 660 ტონა სილოსი, აგრეთვე პირველად დაკონსერვეს 17 ტონა სიმინდის ტარო რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში.

მელაანელებმა გადაჭარბებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა. შესრულებულია ხორცის, რძის, მატყლის, მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმები.

შარშან შრომადღეზე ფულად გასცეს მხოლოდ 50 კაპიკი, წელს 2 მანეთის გაცემას ვარაუდობენ, ხოლო მარცვლეულს ოთხ კილოგრამზე მეტს გასცემენ.

მოწინავეთა რიგებშია სოფელ ჯიმითის ორჯონიკიძის სახელობის „კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარედ მუშაობს ა. სულავა. გასულ წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა 81 პროცენტით შესრულდა, წელს კი 103,7 პროცენტით. განსაკუთრებით დიდი წარმატებაა მოპოვებული პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. თუ შარშანწინ თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 279 ლიტრი რძე, ანუ გეგმის 32,8 პროცენტი, გასულ სამეურნეო წელს დავალება შესრულებულია გადაჭარბებით. თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 820 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 650 ლიტრისა.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ნამატის შენარჩუნება. ყოველ ას ძროხაზე მიღებული და მთლიანად შენარჩუნებულია ასი ხბო. ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი მოწინავე მეცხოველეებს ვ. შავლიაშვილს, ლ. ჯაფოშვილს, შ. შიოშვილს, ზ. ღონაშვილს, გ. ხვედელიძეს, გ. შავლიაშვილს და სხვებს. წელს აქ გაასუქეს 106 ღორი და სახელმწიფოს ხორცის ჩაბარების საერთო რაოდენობიდან 26,6 პროცენტი ღორის ხორცი ჩაბარეს. გადაჭარბებით შესრულდა მეცხვარეობის განვითარების გეგმა.

ვინც ზოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობას გაეცნობა, ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ არ არსებობს ცუდი კოლმეურნეობა, არამედ არიან უხვირო ხელმძღვანელები, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ საქმეს. ასე იყო აქ წინა წლებში. აღნიშნულ კოლმეურნეობას წინსვლა წელს რამდენიმე თვეშიც კი დაეტყო. საქმე ის არის, რომ მას სათავეში ჩაუდგა პარტიის მოწოდებით მოსული სპეციალისტი ვ. ბელქანია. უწინარეს ყოვლისა, განმტკიცდა დისციპლინა, ყველა შრომისუნარიანი წევრი აქტიურად მუშაობს. მოკლე ვადაში გაკეთდა გზები, პირუტყვის სადგომი ბინები, რომლებიც 1947 წლიდან შენდებოდა. სოფელში გამოყვანილ იქნა სასმელი წყალი. საუკეთესო სანაწვერალო სიმინდი მიიღეს, მეცხოველეობას კარგი საკვები ბაზა შეუქმნეს. კარგია ისიც, რომ აქ პრაქტიკულად პირველად განახორციელეს საკვები მწვანე მასის განაწილება კოლმეურნეობის წევრებზე. კოლმეურნეებს 34 ჰექტარზე აღებული ასეთი მასა მისცეს. შრომადღეებზე პირველად ნაწილდება აგრეთვე ყველი. გადაჭარბებით შესრულდა წველადობის გეგმა.

— სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებთან — მემინდვრეობასა და მეცხოველეობასთან ერთად, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ბელქანიამ, — ხელი მოვკიდეთ სხვა რენტაბელური დარგების განვითარებასაც. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ბაღეურნეობის აღმავლობას. კოლმეურნეობას დიდ შემოსავალს მისცემს აგრეთვე მეფრინველეობა, რომლის განვითარებისათვის ჩვენთან საუკეთესო პირობები არსებობს. დავრწმუნდი, რომ ერთ-ორ წელიწადში შეიძლება ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის მიღწევა.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად

ახლა, როცა შექმნილია მატერიალური და ორგანიზაციული წინაპირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელი ზრდისათვის, წარმატების მოპოვება დამოკიდებულია სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონეზე.

კაჭრეთისა და ბადიაურის მტს-ების ზონებში პარტიის რაიკომის მდივნებისა და ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უფრო გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობა სოფლად, პარტიული ხელმძღვანელობა მიუახლოვდა უშუალოდ წარმოებას. ამან დადებითი შედეგები მოგვცა.

რაიკომის მდივანმა კაჭრეთის მტს-ის ზონაში ს. ანჯაფარიძემ გულდასმით შეისწავლა სოფელ ჯიმითის კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების საკითხი. აღმოჩნდა, რომ ეს საქმე მივიწყებული იყო. იმავეადგილ ეწყობოდა აგიტატორთა სემინარის მეცადინეობა, მოსავლის აღების პერიოდში 27 აგიტატორიდან მხოლოდ 3 მუშაობდა. საგულისხმო ის არის, რომ ამ სოფელში უმაღლესი განათლების მქონე 17 კაციდან მხოლოდ ერთი იყო აგიტატორად გამოყენებული, არ გამოდიოდა კედლის გაზეთი, აგიტპუნქტი არ მუშაობდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოწვეული იყო პარტბიუროს მდივნის ს. ნარიაშვილი და ზონის ინსტრუქტორის უ. ზირაქაშვილის მოუქნელი მუშაობით. ეს საკითხი რაიკომის ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. პარტბიუროს მდივანი ს. ნარიაშვილი მოიხსნა მდივნობიდან და დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა.

მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად. აქ მოეწყო აგიტპუნქტი, რომლის გამგედ დამტკიცებულ იქნა ზოოტექნიკოსი თ. ხუხუნეიშვილი. მოკლე დროში ფერმის აგიტპუნქტში მოეწყობა რადიო, დაიდგმება ტელეფონი.

ზონის ინსტრუქტორი გ. კვეზერელი უშუალოდ კოლმეურნეობებსა და ფერმებში მუშაობს. იგი პარტიულ ორგანიზაციებს ეხმარება პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უკეთესად მოწყობაში. მან შეისწავლა სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინიზმში“ საგიტაციო მუშაობის ჩამორჩენის მიზეზები და პარტბიუროსთან ერთად მდგომარეობა გამოასწორა.

პარტიის რაიკომის მდივნებს კაჭრეთისა და ბადიაურის მტს-ების ზონებში ს. ანჯაფარიძეს და გ. ჭიჭიკამშვილს წესად აქვთ შემოღებული, რომ მტს-ის დირექტორთან ერთად სისტემატურად ესწრებიან კოლმეურნეობათა გამგეობების სხდომებს, საერთო კრებებს და გამოდიან საქმიანი წინადადებებით, აწყობენ საუბრებს კოლმეურნეებთან. ისინი ეხმარებიან კომკავშირულ ორგანიზაციებს მუშაობის უკეთ წარმართვაში.

ზოგან კომკავშირელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა სუსტად არის დაყენებული. ამას წინათ კაჭრეთის მტს-ის კომკავშირულმა ორგანიზაციამ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აირჩია კომკავშირის კომიტეტის შემადგენლობა. შემდეგ კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნა ვეტექიმი გ. ბაცანაძე, რომელმაც მეორე დღეს უარი განაცხადა ამ დავალების შესრულებაზე და არც რაიონულ კომკავშირულ კონფერენციას დაესწრო.

— მე ვეტექიმი ვარ და კომკავშირული მუშაობით ვერ დავუტვირთებიო, — უპასუხისმგებლოდ განაცხადა გ. ბაცანაძემ.

კომკავშირული მუშაობის გაუმჯობესებაზე სისტემატურად უნდა იზრუნონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, ინსტრუქტორთა ჯგუფებმა.

კომუნისტებისა და კომკავშირელების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში ადამიანებს უნდა უღვიძებდეს მისწრაფებას იმუშაონ რაც შეიძლება უკეთ, უვითარებდეს მათ შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას, ხელს უწყობდეს დასახული გეგმების შესრულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას.

პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებში

— ახალი წარმატებებით შევხვდეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას! — ასეთ ლოზუნგებს შეხვდებით კლუბებსა და აგიტპუნქტებში, მინდვრად მომუშავე სატრაქტორო ბრიგადებში. კოლმეურნეები და მექანიზატორები ამ დღეებში გაძლიერებული ტემპით შრომობენ: დროულად დამთავრდა – სამემოდგომო ხორბლის თესვა. მთავრდება ნაწვერალზე დათესილი სიმინდის მოსავლის აღება.

კაჭრეთელებმა წელს ყურძნის კარგი მოსავალი მიიღეს. წარმატებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა, რომლის გადამეტებით სახელმწიფოს 150 ტონა ყურძენი ჩაბარეს. უხვი მოსავალი მიიღეს ნანიანის კალინინის, ჯიმითის ორჯონიკიძის, კაკაბეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებმა. კაკაბეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში 36 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უნდა მიეღოთ 52 ცენტნერი ყურძენი, ფაქტიურად 70 ცენტნერი მიიღეს. როგორმა, რომელსაც ა. მირზაევი ხელმძღვანელობს, 7,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ზმავე სოფლის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში მევენახეებმა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი გაანაღდეს. 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 80 ცენტნერი ყურძენი.

ბადიაურელი მექანიზატორები ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნავენ პარტიის XX ყრილობისათვის მზადების დღეებს. მათ გადაჭარბებით შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა 9 თვის დავალება. კაჭრეთელმა მექანიზატორებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ტრაქტორისტმა მ. ირმომშვილმა წლიური გეგმით გათვალისწინებული 250 ჰექტარის ნაცვლად 610 ჰექტარი მოხნა და 2.668 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ა. ჯაფოშვილმა წლიური დავალება ორმაგად გაანაღდა, ამასთან 2.355 კილოგრამი საწვავი დაზოგა. ასევე თავი ისახელეს ტრაქტორისტებმა შ. ზაკალაშვილმა, ი. არუთინაშვილმა, ვ. სოლოღაშვილმა, ა. ძირკვილიშვილმა, ი. ბაწელაშვილმა და სხვებმა.

კაჭრეთელმა და ბადიაურელმა მექანიზატორებმა, კოლმეურნეებმა გეგმის გადამეტებით რამდენიმე ასეული ჰექტარი ხორბალი დათესეს. პირუტყვის სადგომების მშენებლობა დაამთავრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის.

კაჭრეთელებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში სერიოზული წარმატებები მოიპოვეს. მაგრამ ისინი არ სჯერდებიან მოპოვებულ შიღწევებს. ჩაებნენ რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კაჭრეთელი კოლმეურნეები იმისათვის იბრძვიან, რომ ნაკლოვანებათა გამოსწორებით, ახალი რეზერვების გამოვლენებითა და გამოყენებით უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ახალი აღმავლობა.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში მოწყობილ აგიტპუნქტში (მარცხნიდან მარჯვნივ) მწყემსი შ. ბაცანაძე, ბრიგადირები ნ. ქიტოშვილი, ი. კუპრაშვილი და ზოოტექნიკოსი თ. ხუხუნეიშვილი კითხულობენ ახალ უურნალ-გაზეთებს.

სოფელ ნანიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ჯიჭურაშვილი (შუაში), კაჭრეთის მტს-ის მთავარი აგრონომი ა. ივანიაძე (მარცხნივ) და ბრიგადირი გ. გოგინაშვილი ნაწვერალზე აღებულ სიმინდის ხვავთან.

სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმა.

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მჯკიცედ დავიცვათ დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესიაზე

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის [illegible]ომელები მნიშვნელოვან წარმა[illegible]ებს აღწევენ კომუნისტური პარ[illegible]ია და საბჭოთა მთავრობის მიერ [illegible]ახული ისტორიული ამოცანების [illegible]ულებისათვის გაჩაღებულ საყო[illegible]თაო-სახალხო შრომაში. ამ პატრი[illegible]ული შრომის შედეგები გაცილე[illegible] უფრო მეტი იქნება, თუ ქალაქში [illegible]ცედ დავიცავთ საზოგადოებრივ [illegible]იგს, ულმობლად ვიბრძოლებთ [illegible]ბიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის [illegible]ნაშთების წინააღმდეგ.

[illegible]ალაქში საზოგადოებრივი წესრი[illegible] დაცვისა და განმტკიცების ღო[illegible]ებათა საკითხი განიხილა თბი[illegible]ის მშრომელთა დეპუტატების მე[illegible] მოწვევის საქალაქო საბჭოს მე[illegible] სესიამ, რომელიც ამ დღეებში [illegible]ართა. როგორც მომხსენებელმა — [illegible]ალაქო საბჭოს აღმასკომის წევრმა, [illegible]ლისის მილიციის სამმართველოს [illegible]ოსმა ამხ. ა. ძრიელიშვილმა და [illegible]ში გამოსულმა დეპუტატებმა აღ[illegible]ნეს, რომ ამ ბოლო დროს თბილი[illegible] მილიციის ორგანოებმა მთელი რი[illegible]საყურადღებო ღონისძიებანი განა[illegible]ცელეს ოპერატიული მუშაობის [illegible]უმჯობესებლად, საზოგადოებრივი [illegible]იგის დასაცავად, უფრო განამტ[illegible]ეს კავშირი მოსახლეობასთან.

[illegible]მდინარე წლის 9 თვეში მილიციის [illegible]ებმა სხვადასხვა თემებზე წაი[illegible]ხეს 4.450 ლექცია, რომლებსაც 211 [illegible]ისი კაცი დაესწრო. გაუმჯობესდა [illegible]ოლა მოძრაობის წესებისა და სა[illegible]ორტო კანონის დამრღვევთა წი[illegible]ომდეგ, მიღებულ იქნა ქმედითი [illegible]ები სანიტარული წესრიგის დასა[illegible]ად, უკეთესად მუშაობენ მილიციის [illegible]შეწყობი ბრიგადები.

[illegible]ომხსენებელმა და კამათში გამო[illegible]ალმა დეპუტატებმა ამასთან ყურად[illegible]ა გაამახვილეს იმ სერიოზულ ნაკ[illegible]ვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ [illegible]ს საზოგადოებრივი წესრიგის დაც[illegible]საქმეში.

[illegible]ილიციის ორგანოების არასაკმარი[illegible] მუშაობისა და წესრიგის დაცვის [illegible]ში საზოგადოებრიობის სუსტი [illegible]ონაწილეობის გამო თბილისში საგ[illegible]ობია ხულიგნობის, დანაშაულის [illegible]ენის შემთხვევები. აღსანიშნავია [illegible]ც, რომ წესრიგს უმთავრესად [illegible]ლგაზრდები — სტუდენტები და [illegible]ვლელები არღვევენ. მარტო სექ[illegible]ბერ-ოქტომბერში აღრიცხულია [illegible]უდენტთა მიერ წესრიგის დარღვე[illegible] 136 შემთხვევა. ზოგიერთი სტუ[illegible]ტი საზოგადოებრივი თავშეყრის [illegible]ილებში ფიზიკურ და სიტყვიერ [illegible]რაცხყოფას აყენებს მოქალაქეებს [illegible] მილიციის მუშაკებს, აწყობს დე[illegible]ებს. მაგალითად, 24 ოქტომბერს [illegible]თაველის სახელმის სახელმწიფო [illegible]ტრში პოლიტექნიკური ინსტიტუ[illegible]ის სტუდენტებმა დ. ცქიტიშვილმა [illegible] ლ. ჯანდიერმა ჩხუბი ატეხეს და [illegible]ზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს [illegible]ტრის ადმინისტრატორს.

[illegible]როგორც სესიაზე ითქვა, ეს ფაქტე[illegible]ბი იმაზე მეტყველებენ, რომ საშუა[illegible] და უმაღლეს სასწავლებლებში [illegible]სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას პო[illegible]ტალმზრდელობითი მუშაობა, ხუ[illegible]ლიგნების წინააღმდეგ შექმნილი არ [illegible]არის საზოგადოებრივი გაკიცხვის ატ[illegible]მოსფერო.

როგორც დეპუტატმა მ. მახარაძემ აღნიშნა, კომკავშირულ და პიონერულ აქტივს მცირე წვლილი შეაქვს მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცების საქმეში. არის შემთხვევები, როცა ქუჩაში თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოქალაქეები გულგრილად შეჰყურებენ ახალგაზრდების მიერ წესრიგის დარღვევას, მათ ავიწყდებათ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ზრუნვა თვითეული საბჭოთა მოქალაქის წმიდა მოვალეობაა.

ქალაქის პროკურორის მოადგილემ ამხ. ვ. ფონიამ განაცხადა, რომ ზოგჯერ სახალხო სასამართლოები შეუწყნარებელ ლმობიერებას იჩენენ ხულიგნებისა და ქურდების მიმართ, რაც ასუსტებენ ბრძოლას საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. ასეთი ფაქტები იყო, მაგალითად, სტალინის რაიონის მე-2 და მე-5 უბნის სახალხო სასამართლოებში (მოსამართლეები ნამორაძე და კოღუაშვილი).

როგორც სესიაზე აღინიშნა, დანაშაულობათა და წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლას ისიც ასუსტებს, რომ ზოგიერთი დაზარალებული და მოწმე ცვლის თავის ჩვენებას. მაგალითად, პარტიის წევრმა ვ. იდიტიანმა, რომელსაც კარაკულის ქუდი მოსტაცეს, იცნო ქურდი, თავის ხელით დაწერა ახსნა-განმარტება, მაგრამ სასამართლოში ჩვენება ქურდს სასარგებლოდ შეცვალა. სწორად მოიქცა კიროვის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო, როდესაც იდიტანს ერთი წლით იძულებითი მუშაობა მიუსაჯა.

თბილისში ჯერ კიდევ საგრძნობია სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცებისა და სპეკულაციის შემთხვევები; ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები: მომხმარებელს ატყუებენ ზომა-წონაში, არ უბრუნებენ ხურდას. საზოგადოებრივი კონტროლიორები სუსტად ეხმარებიან მილიციის ორგანოებს ვაჭრობის წესების დამრღვევთა გამოვლინებაში.

მილიციის ორგანოებს, რომლებიც მოწოდებული არიან მტკიცედ დაიცვან ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგი, თავიანთ პასუხსაგები ამოცანის განხორციელებაში ესაჭიროებათ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული აქტივის, მთელი საზოგადოებრიობის მხარდაჭერა და დახმარება. წესრიგის დარღვევის თვითეული ფაქტი საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, ქალაქის მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფიაათვის.

საკოლმეურნეო კედლის გაზეთების მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

ორჯონიკიძის რაიონის მთელი რიგი საკოლმეურნეო კედლის გაზეთები ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ქმედითი ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებენ მასების კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორის და ორგანიზატორის როლს. მათ შორის აღსანიშნაია სოფელ ბორითის სტალინის სახელობის, სოფელ ხევის შეკრიკის სახელობის, სოფელ ხუნევის სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელობის კოლმეურნეობათა კედლის გაზეთები, რომლებიც თავიანთ გარშემო ფართოდ შემოკრებილ აქტივზე დაყრდნობით აქტიურად იბრძვიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხუნავენ მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის, ულმობლად ამხილებენ ცალკეულ ნაკლოვანებებს და თავიანთი საქმიანი შენიშვნებით, რჩევა-დარიგებით ეხმარებიან კოლმეურნეობებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

მაგრამ ასე როდი ითქმის სოფლების ვერტყვიჭალისა და ნადაბურის კოლმეურნეობათა კედლის გაზეთებზე. მართალია, ვერტყვიჭალის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ (რედაქტორი გ. ლურსმანაშვილი) რეგულარულად გამოდის, მაგრამ იგი ვერ ასახავს კოლმეურნეობის სისხლსავსე ცხოვრებას. გაზეთი არაფერს წერს მოწინავეთა გამოცდილებაზე, კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია კი (მდივანი ვ. გოგოლაძე) გულდამშვიდებული უყურებს ამ მდგომარეობას. პარტიული ორგანიზაცია რომ ნაკლებად არის დაინტერესებული კედლის გაზეთის უუშაობის გამო, ეს ემეფანაც ჩანს, რომ რედაქტორად ხუთი კლასის განათლების მქონე ამხანაგი შეარჩიეს, რომელიც დაკისრებულ საქმეს თავს ვერ ართმევს.

უარესი მდგომარეობაა სოფელ ნადაბურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ კედლის გაზეთის მუშაობა თითქმის ჩაშეშალა. სარედაქციო კოლეგიას (რედაქტორი რ. გელაშვილი) შედგი თვის მანძილზე გაზეთის მხოლოდ ოთხი ნომრის გამოშვება მოუხერხებია. გაზეთში ზოგადი ხასიათის, გაუმართავი და დუმუშავებელი წერილები ქვეყნდება. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ სარედაქციო კოლეგიის ყველა წევრი მონაწილეობას არ იღებს გაზეთის გამოშვებაში.

ნადაბურის საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ აპრილში განიხილა კედლის გაზეთის მუშაობა, დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მაგრამ შემდეგ ყურადღება აღარ მიაქცია მათს შემოწმებას. პირიქით, საკითხის განხილვის შემდეგ სამი თვის განმავლობაში კედლის გაზეთი აღარ გამოსულა.

მოყვანილი მაგალითები იმას მეტყველებენ, რომ ორჯონიკიძის რაიონის მთელი რიგი საკოლმეურნეო კედლის გაზეთები ჯერ კიდევ ყველგან არ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად. ამ მდგომარეობას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიის რაიონულმა კომიტეტმა.

ი. ხაჩიძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციას სოფლკორი სწერდა, რომ ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში არღვევენ შემოსავლის განაწილების წესს.

წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომს გადაეგზავნა. აღნიშნული საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ახოშვილს და კოლმეურნეობის ბუხპალტერს, ამავე დროს პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს ს. ოთიაშვილს გამოეცხადათ საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

მასალები გადაეცა პროკურატურას დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

თბილისის მომინანქრებული ჭურჭლის ქარხნის გამომწველთა ბრიგადირმა გ. მაჭარაძემ, რომელიც ჩაბმულია პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრა თვიური დავალება ორმაგად შეასრულოს. ოქტომბერში გ. მაჭარაძის ბრიგადამ გეგმა 232 პროცენტით გაანაღდა. სურათზე: წუნმდებელი ე. გოგლიძე (მარცხნიდან) და ბრიგადირი გ. მაჭარაძე ამოწმებენ ახალგამომწვარ ჭვავებს. ფოტო შ. გოკაძისა.

ვანაღდებთ ნაკისრ ვალდებულებებს

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით პირველი აგვისტოსათვის შეასრულა და ამ გამარჯვებით აღნიშნა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების პირველი პერიოდი. მეხუთე ხუთწლედის განვლილ 4 წელსა და 8 თვეში ჩაბმულ მეელმაცლეებმა გადაიყვანეს 13 ათასზე მეტი მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 4 მილიონ ტონაზე მეტი სახალხოსამეურნეო ტვირთი.

ელექტრომავლის საუკეთესო მოვლისა და მატარებლების უნარიანი ტარების შედეგად უფროსმა მემანქანემ გ. კასრელაშვილმა საგრძნობლად გაადიდა თავისი ელმავლის გარბენა, დაზოგა სამი აწევითი შეკეთების ღირებულება. მძიმე წონის მატარებლითა ტარების ოსტატების — მემანქანეების გ. ბოგვერაძის, ა. მაკარაშვილის, გ. ჩახუნაშვილისა და სხვათა სახელებს კარგად იცნობენ ამიერკავკასიის გზაზე.

საელმავლო დეპოში ჯერ კიდევ 1953 წლის შემოდგომაზე შეიმუშავეს ელმავლათა აწევითი შეკეთების ახალი ტექნოლოგიური რეჟიმი, რომელსაც საფუძვლად დაედო დეპოს მოწინავე ადამიანების ლ. მოსემდგომლიშვილის, ბ. ცაცანაშვილის, ა. გურგენიძის, კ. გვენცაძის, ი. სლაპცოვის მიღწევები, რამაც თვალსაჩინოდ შეამცირა ლოკომოტივების დგომა შეკეთებისათვის და ამაღლა ხარისხი.

საელმავლო დეპოს კოლექტივმა ხუთწლედის განმავლობაში დაზოგა რამდენიმე მილიონი კილოვატსაათი ელეტროენერგია. წელს ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის დეპოელებმა ორჯერ მოიპოვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

დეპოს მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობის ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ ხუთწლედის განმავლობაში შემოტანილი 360 რაციონალიზატორული წინადადებიდან 277 დანერგილია წარმოებაში, რამაც დეპოს 200 ათასამდე მანეთის ეკონომია მისცა.

ყურადღების ღირსია ინჟინერ ერმაკოვის კონსტრუქციის ინდუქციური ელექტროქურა გოგორწყლიანების ბანდაჟების მოხსნისა და დაყენებისათვის. წელიწადში 30 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას იძლევა ინჟინრების ბ. ბარსუკოვის და ლ. კალინდაძის წინადადებების განხორციელება.

დეპოში შექმნილია პარტიის XX ყრილობის სახელობის კოლონა, რომელსაც მემანქანე გ. ბოგვერაძე ხელმძღვანელობს. მან 8 აგვისტოდან გადაიყვანა 379 მძიმე წონის მატარებელი და ნორმის გადამეტებით გადაზიდა 80 ათასზე მეტი ტონა ტვირთი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვლინდნენ ახალი ადამიანები. ზეინკალმა ი. ნინიაშვილმა, რომელიც 1957 წლის ანგარიშში მუშაობს, უკვე მიაღწია ყოველდღიური ნორმის სამმაგად შესრულებას. საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ხარატებს ა. ბუაჩიძეს, კ. ეგლურს, ზეინკლებს კ. ქობერიძეს, ი. არაქელოვს, ელექტრომემონტაჟეს გ. ცაცანაშვილს, ზეინკალს ი. ლუციუკს, მქვედელს გ. ცვეტოვს, შემდღეებელს ა. არშაკუნს და სხვ.

უკვე შეკიმუშავეთ ახალი. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მონახაზი. მეექვსე ხუთწლედში ჩვენ ვითვალისწინებთ ტვირთიდის მოცულობის გადიდებას 1955 წლის დაკალებასთან შედარებით თითქმის ორჯერ, 70 პროცენტით უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, დიდად გავზარდოთ ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო გარბენი და ა. შ. ჩვენი გადაწყვეტილებაა არ დაეთმოთ პირველობა მეექვსე ხუთწლედში, უზრუნველყოთ არსებული მოწყობილობის მაღალნაყოფიერი გამოყენებით, ახალი ტექნიკის დანერგვით, მოწინავეთა გამოცდილების მასობრივი გავრცელებით ახალი ხუთწლედის განაღდება ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ჩვენ მოგვეპოვება სათანადო გამოცდილება ამისათვის, რომ თავი გავართვათ ამ ამოცანას. დეპოს კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა ამიერკავკასიის ტრანსგზაზე. ეს უფლებას არ გვაძლევს თვითდამშვიდებას მივეცეთ. პირიქით, ჩვენ კრიტიკისა და თვითკრიტიკის საშუალებით უნდა გამოვაცოცხლოთ ჩვენი კოლექტივის მუშაობის ნაკლოვანებანი, დარაზმულად ვიბრძოლოთ მათი აღმოფხვრისათვის. ნაკლოვანებები კი გვაქვს, განსაკუთრებით არსებული რეზერვების გამოყენებაში, სიახლეების დანერგვაში. ჩვენი ამოცანაა ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზით გზა გავუხსნათ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს და ამით უზრუნველყოთ შემდგომ წარმატებათა ზოგოვება.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობისათვის დეპოს კოლექტივი ეჯიბრება ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივს. ჩვენი მიზანია არ ჩამოვრჩეთ ხაშურლებს, მათთან ერთად პირნათლად წარვსდგეთ სამშობლოს წინაშე პარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის.

ი. ზერეკიძე,
თბილისის საელმავლო დეპოს უფროსი.

წერილი ლურსმანულია რედაქციისადმი

შეუსრულებელი დაბგენილება და შეწუხებული მობინადრენი

ჩვენს სახლში (კლდიაშვილის ქ. № 13) ორასამდე კაცი ცხოვრობს. ამ რიცხვში არ ვთვლით არტელ „კოოპტყემენის“ სახერხი და ავეჯის საამქროების მუშა-მოსამსახურეებს.

ეს რა შუაშიაო, იკითხავთ. იმ შუაშია, რომ ამხელა საწარმო შიგ ჩვენი სახლის ეზოშია. ყურთა სმენა გვაქვს წაღებული განუწყვეტელი ხრიალისაგან, რასაც სახერხი და საავეჯო სახელოსნო-საამქროები გამოსცემენ.

ჯერ კიდევ 1952 წელს შეგეპირდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო გადაეტანა არტელი ჩვენი ეზოდან, სათანადო დადგენილებაც გამოიტანა, მაგრამ ეს მხოლოდ დაპირებად დარჩა.

მარტო ხმაური როდი გვაწუხებს. არტელმა მოხსნა ალაყაფის კარები და ეზოში სისტემატურად შემოდიან ხეტყის მასალით და გადიან მზა ნაწარმით დატვირთული ავტომანქანები, რის გამო ეზოში შეუძლებელია სისუფთავის დაცვა.

არტელმა ეზოში მდებარე ორი თვალი საპირფარეშოდან ერთი გააუქმა და თავის სათავსოდ გადააქცია. ეზო სავსეა ნახერხის მტვრით, ხე-ტყის ნარჩენებით. გამეფებულია ანტისანიტარია. ფუჭდება მწვანე ნარგავები. ჩვენს ბავშვებს (ორმოცდაათზე მეტი არიან) საშუალება არა აქვთ ამოდენა ეზოში მოაწყონ რაიმე გასართობი.

როდემდის გაგრძელდება ასეთი არანორმალური მდგომარეობა?

არტელს თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს, ხოლო საცხოვრებელი სახლის ეზო მცხოვრებლებს დაეთმოს.

კლდიაშვილის ქ. № 13 სახლის მცხოვრებნი: **ა. ვაშაკიძე, ი. ხარაშვილი, მ. ობოლაძე, გ. ფერხერი, რ. ალიხანოვა, ს. ბარანოვი და ნ. ჭრელაშვილი.**

ღამნაშავენი აღარ ღაუსჯიათ

ამას წინათ მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში მარცხენა სანაპიროს თბილკვებსავჭრობის № 3 მაღაზიის თანამშრომლებმა უხვად შემოზიდეს ბრინჯი.

ეს ინიციატივა მისასალმებელია.

მაგრამ ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მუშაკის წყალობით ადგილი ჰქონდა საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეშ დამახინჯებას. მომხმარებელთა მოთხოვნით შემოწმებულ იქნა გაცემული და ქაღალდში ჩაყრილი გასაცემად გაზადებული ბრინჯი. თვითეულ კილოგრამს აკლდა 50 გრამი. შედგა სათანადო აქტი. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით დამნაშავენი არავის არ დაუსჯია.

მომხმარებელთა საჩივრისადმი ასეთი დამოკიდებულება დაუშვებელია.

ვ. სუხიშვილი,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის 10 წელი

[illegible]ათი წლის წინათ, 1945 წლის 10 ნოემბერს, 33 [illegible]ქვეყნის ახალგაზრდა წარმომადგენლები შეკ[illegible]ებენ ლონდონში ახალგაზრდობის I მსოფ[illegible]ლიო კონგრესზე, რომელმაც გამოაცხადა, რომ [illegible]ქმნა ახალგაზრდა თაობის ყველაზე დიდი და წარმომადგენლობითი საერთაშორისო ორ[illegible]ზაცია — დემოკრატიული ახალგაზრდობის [illegible]ფლიო ფედერაცია.

[illegible]ონგრესის მონაწილეებმა ფიცი დადეს, ამ [illegible]ში მთელი სიძლიერით გამოთქვეს თავიანთი [illegible]ება და გრძნობები ჰაბუკებმა და ქალიშვი[illegible]ლმა, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის საშ[illegible]ელებანი და გაჭირვება განიცადეს, ხოლო [illegible]ედან ოგმეს დიადი სიხარული დიდი ხნის [illegible]ატრი შვიდობის გამო, რომელიც მოპოვებ[illegible]ული იქნა წმიდა ბრძოლით ფაშიზმის წინააღ[illegible]დგომ. „ჩვენ აქ შეეკრიბეთ, — განაცხადეს [illegible]ლგაზრდელმა, — რათა საქმით დავადასტუ[illegible]თ მთელი ახალგაზრდობის ერთიანობა, რათა [illegible]ეეი ვაეეთ ბრძოლაში დაღუპული ჩვენი ამ[illegible]ების ხსოვნას, დავდოთ პირობა, რომ ხელ[illegible]ეკეკვეობა, მახვილი გონება, ახალგაზრდული [illegible]ენერგია არასოდეს აღარ დაიხარჯება ომი[illegible]თვის. ჩვენ ვგაშენებთ სამყაროს, რომელიც [illegible]ამაზე და თავისუფალი იქნება. ჩვენ გამოვეკ[illegible]ვეთ ახალგაზრდობის ერთიანობას“.

[illegible]შვიდობისმოყვარე ხალხების მხარდამჭერ [illegible]ეულან დიდი მსხვერპლის გაღებით მოპოვე[illegible]ული შვიდობა, არ დაუშვან ფაშიზმისა და [illegible]ალი სისხლისმსმელი ომების აღორძინება, [illegible]ერთიანონ ახალგაზრდობის ღონისძიებანი [illegible]ძლიერ, რათა დაიმკვიდრონ თავისუფალი, [illegible]ბედნიერი ცხოვრებისა და ნათელი მომავლის [illegible]ერდა უფლებები, — ეი ის კეთილშობილური [illegible]ი ძნელი ამოცანები, რომლებიც შვიდობისმ[illegible]ალი ახალგაზრდა მებრძოლთა მრავალმილიო[illegible]ანი კავშირის წინაშე დაისახა.

[illegible]ერთიანობისა და მეგობრობის იდეები ახ[illegible]ალი და გასაგებია დედამიწის ყოველი [illegible]ეთხუთა მილიონნახევარ ჰაბუკისა და ქალიშვი[illegible]ლისათვის.

[illegible]გამოხატავს რა შვიდობისმოყვარე ახალ[illegible]ზრდობის ნებას, დემოკრატიული ახალგაზრ[illegible]ობის მსოფლიო ფედერაციას მუდამ მაღლა [illegible]ერა და მაღლა უმარავს ერთიანობისა და [illegible]ერთაშორისო სოლიდარობის დროშა, მისმა [illegible]წოდებამ — „ახალგაზრდობავ, გაერთიანდი!“ [illegible] მტკიცე შვიდობისათვის, დემოკრატიის, [illegible]ეროვნული დამოუკიდებლობისა და უკეთესი [illegible]ომავლისათვის!“ — უცხოელესი გამოხმაუ[illegible]ლა ჰპოვა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ჰაბუკთა და ქალიშვილთა შორის.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია შეუპოვრად იბრძვის შვიდობისათვის, ახალგაზრდა თაობის უფლებათა დაცვისათვის, იმისათვის, რომ მეგობრული თანამშრომლობა დამყაროს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას შორის; ამ ბრძოლამ ახალგაზრდობის დიდი პატივისცემა და სიმპათიები დაიმსახურა. ამას მოწმობს ფედერაციის რიგების განუწყვეტელი რიცხობრივი ზრდა. თუ 1945 წელს ფედერაცია აერთიანებდა 64 ქვეყნის 30 მილიონ ქალიშვილსა და ჰაბუკს, ახლა მის რიგებშია 97 ქვეყნის 85 მილიონი ახალგაზრდა.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია მუდამ მხურვალედ ეხმაურებოდა და ყოველი ღონისძიებით უჭერდა მხარს ყველ მოძრაობასა და თაოსნობას, თუ ეს ემსახურება ხალხთა ბრძოლას ახალი ომის მომზადების წინააღმდეგ, ბრძოლას ახალგაზრდა თაობის თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და უფლებებისათვის. ეი რატომ არის, რომ ფედერაციის შექმნის მეათე წლისთავი აღინიშნება როგორც შვიდობისმოყვარე ახალგაზრდობის დიდი დღესასწაული.

* * *

მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით ახალგაზრდას სწყვეტდ სძულს ომი და მგზნებარედ იცავს შვიდობის საქმეს. ახალგაზრდობის ინიციატივა ფორმითა და მასშტაბით სხვადასხვანაირია, მაგრამ ყველა ეს გამოსვლა პატარა ნაკადულებივით ერთვის ამ ბრძოლის საერთო მძლავრ მდინარეს, რომელიც ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ წარმოებს.

ახალგაზრდა ფრანგები საფრანგეთის ბევრ დეპარტამენტში ეფრცელებენ „მშრომელი ახალგაზრდების მოთხოვნათა რვეულებს“. ეს არის მოწაფის უბრალო რვეულები, რომლებშიც ახალგაზრდა მუშები უბრალო, გულში ჩამწვდომი სიტყვებით გამოთქვამენ მისწრაფებას შვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრებისადმი და გადაჭრით გმობენ ახალი ომის მზადებას.

„სკოლები ყაზარმების ნაცვლად! კარაქი ზარბაზნების ნაცვლად!“ — ამ მოკლე და ყველასათვის გასაგებ ლოზუნგს ნახავთ დასავლეთ გერმანიის ბევრ ქალაქში.

იაპონიის ახალგაზრდობა, რომელმაც უკვე განიცადა ატომური ომის სიშინელეანი, მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ სამუდამოდ გაქრეს ხიროსიმის ტრაგედიის ავბედითი აჩრდილი. მთელ მსოფლიოს ახსოვს სოფელ უცინაგის მცხოვრებთა გმირული ბრძოლა ომის წინააღმდეგ, რომ მათს მიწაწყალზე სამხედრო ბაზა აეგოთ. უცინაგოს გმირებისადმი სოლიდარობის მძლავრ მოძრაობაში, ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდას წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციებსა და მიტინგებში აქტიურად მონაწილეობდა იაპონიის მთელი ახალგაზრდობა.

ვინ არ იცის ანრი მარტენის, ფრანგი ხალხის ამ გმირი შვილის სახელი, რომელიც გამოვიდა ვიეტნამელი ხალხის დასაცავად? ევროპისა და აზიის ახალგაზრდობა პატივს სცემს მის სახელს, ისევე როგორც ჰოლანდიელი ჰაბუკის პიტ ვან სტავერენის სახელს, რომელიც საპროტესტოდ ჩაიკაწყვდიეს ომის გამო, რომ მამაცურად გამოვიდა და დაგმო აგრესია ინდოჩინეთში.

ევროპის ახალგაზრდობის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ევროპის ახალგაზრდობის კონფერენცია ომ გგამების წინააღმდეგ, „რომ გერმანული მილიტარიზმი აღორძინონ“ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შექმნის აღმით; ეს კონფერენცია 1954 წელს გაიმართა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის უაღრესად ქმედითი მხარდაჭერით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ევროპის 23 ქვეყნის დელეგატებმა. ევროპის ახალგაზრდობისადმი მიმართვაში, რომელიც კონფერენციამ მიიღო, ნათქვამია: „ჩვენ, ევროპის ყველა ქვეყნის ჰაბუკებსა და ქალიშვილებს, რომლებმაც მეტწილად განვიცადეთ უკანასკნელი ომის საშინელებანი, არა გვსურს კვლავ განვიცადოთ მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა და ტანჯვა. ჩვენ არა გვსურს, რომ კვლავ შევხედეთ ერთმანეთს ბრძოლის ველზე... ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მთელი ძალღონე მოვახმაროთ ამ მიზნის მიღწევას“.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია მუდამ უწევს მორალური მხარდაჭერას კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ახალგაზრდობას, რომელიც სამართლიან ბრძოლას აწარმოებს თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ბედნიერი მომავლისათვის. 1948 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ახალგაზრდობის კონფერენციამ, რომელიც ფედერაციამ მოაწყო, გადაწყვიტა ყოველწლიურად 21 თებერვალს მოაწყოს ახალგაზრდობისა და სტუდენტების დღე, რომელიც კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან. მას შემდეგ ამ დღეს ახალგაზრდობა აღნიშნავს ტრადიციული მანიფესტაციებით კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ახალგაზრდა თაობის უფლებათა დასაცავად. ალეირისა და მაროკოს, მალაიისა და ფილიპინების, ირანისა და ერაყის, ბევრი სხვა ქვეყნის ახალგაზრდობა ტერორისა და რეპრესიების პირობებში სულ უფრო აძლიერებს ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლას ომის წინააღმდეგ, რომ მათი ქვეყნები სამხედრო ბლოკებში ჩაებან.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ მხურვალედ დაუჭირა მხარი იტალიის პატარა სოფელ სანტ ალბერტოს ახალგაზრდა გლეხების ინიციატივას, რომლებმაც გამოაქვეყნეს მოწოდება, რომ მოწყობილიყო სოფლის ახალგაზრდობის საერთაშორისო შეხვედრა. ეს შეხვედრა, რაც 1954 წლის დეკემბერში მოეწყო, მისი მომზადება დიდი მოვლენა იყო მთელი დედამიწის სოფლის რაიონების მილიონობით ქალიშვილისა. და ჰაბუკის ცხოვრებაში. ყველგან კონფერენციებზე, კრებებსა და მიტინგებზე განიხილეს კაპიტალისტური, დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების „სოფლის ახალგაზრდობის ძირითად მოთხოვნათა ქარტია“. ქარტიაში გამოთქმულია ამ ქვეყნების ახალგაზრდა გლეხების ის უაღრესად სანუკვარი მისწრაფებანი, რომ მიეცეს მიწა ღარიბებსა და მოჯამაგირეებს, მოისპოს ექსპლოატაცია და ფეოდალური დამონაშთები, შემცირდეს კაბალური გადასახადები, მეცნიერებისა და კულტურის გზა გაეხსნას გლეხ ახალგაზრდობას. სოფლის ახალგაზრდობის შეხვედრამ ხელი შეუწყო უფრო მჭიდრო კავშირურთიერთობის დამყარებას ყველა ქვეყნის ახალგაზრდა გლეხებს შორის და მათს ჩაბმას აქტიურ ბრძოლაში მშვიდობისათვის.

ახალგაზრდობა მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ ადამიანის გენის დიადი ალმოჩენა — ატომის ენერგია ემსახურებოდეს ადამიანის ბედნიერებას და არა ომისა და ნგრევის მიზნებს. ახალგაზრდობა ოცნებობს იმაზე, რომ ამ დიადმა ძალამ სინათლე და სიხარული მოუტანოს ადამიანებს, რომ უდაბნოები წალკოტებად აქციოს, რომ დაეხმაროს ადამიანს ბუნების ძალების დამორჩილებაში. ეი რატომ არის, რომ ყველა ქვეყნის ახალგაზრდობა ესალმება სახალხოებთა და ერთსულოვნებით გამოეხმაურა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მიმართვას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ. ყველა ქვეყანაში ქალიშვილებმა და ჰაბუკებმა ქმედითი მონაწილეობა მიიღეს იმაში, რომ შეეგროვებინათ ხელმოწერა ამ მიმართვაზე. იაპონიაში ვენის მ

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 9 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების დღევანდელი სხდომა დაიწყო 16 საათზე შუა ევროპის დროით.

სხდომას თავმჯდომარეობდა ა. პინე.

მინისტრები განაგრძობდნენ ევროპის უმიშროებისა და გერმანიის საკითხის განხილვას.

დღევანდელ სხდომაზე პირველი გამოვიდა ჯ. მაკმილანი, შემდეგ — ჯ. დალესი და ა. პინე.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა უმუშაროების საბჭოს არამუდმივი წევრის არჩევნები ამ ადგილზე, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ეკუთვნის; ამ ადგილზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა დაასახელეს იუგოსლავიის კანდიდატურა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატები სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპისა და დიდ საელჩიოფოთა ლონდონის შეთანხმების საწინააღმდეგოდ ცდილობენ ამ ადგილზე გაიყვანონ ფილიპინების კანდიდატურა. გენერალური ასამბლეის უკვე სამ წინანდელ პლენარულ სხდომაზე 14, 19 და 27 ოქტომბერს მომხდარმა კენჭისყრამ ამ საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას არ მისცა სასურველი შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ მან ზეგავლენა მოახდინა მთელი რიგი პატარა ქვეყნების დელეგაციებზე, რაზეც ამერიკული პრესა წერდა.

გენერალური ასამბლეის 27 ოქტომბრის სხდომის შემდეგ ათი დღის შესვენება, გაზეთების ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ გამოიყენა იმისათვის, რომ გაეძლიერებინა შემდგომი ზეგავლენა მთელ რიგ დელეგაციებზე, რათა მათ ხმა მიეცათ ფილიპინების კანდიდატურისათვის. ცხადია, დარწმუნდა რა, რომ არავითარ ზეგავლენას არ შეუძლია უზრუნველყოს ხმების საჭირო რაოდენობა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ გუშინდელი სხდომის წინ ახალ მანევრს მიმართა.

როგორც ცნობილია, დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ამტკიცებდა, რომ ლონდონის შეთანხმება უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების ადგილების განაწილების შესახებ თითქოს დროებითი იყო და ძალა აღარა აქვს. მაგრამ 7 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა პრესისათვის გააკეთა განცხადება, როგორც თქვა, რომ იმის წინააღმდეგი არ არის, რომ მომავალში ამ ადგილზე უშიშროების საბჭოში არჩეულ იქნას აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყანა და ისიც კი „განაცხადა, რომ მზად არის“ მზარი დაუჭიროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კანდიდატურას 1957 წლის მომავალ არჩევნებში, იმ პირობით კი, რომ ახლა ამ ადგილზე აირჩიონ ფილიპინები. ამასთან ლოჯი ცდილობდა ამერიკის შეერთებული შტატები გამოეყენა აზიის ქვეყნების ინტერესების „დაცველად“.

ლოჯის გამოსვლას აქ განიხილავენ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის სასუსტის მაჩვენებელს მის უკანონო პრეტენზიებში. ეურნალისტთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ლოჯი განაგრძობს სხვისი ადგილით უკანონო ვაჭრობას.

ეს ახალი მანევრი „ორი წლის მორიგეობის გეგმით“, რომლის მიზეზდვითაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კუთვნილი ადგილი უშიშროების საბჭოში მორიგეობით უნდა დაიკავოს ან აზიის ერთ-ერთმა ქვეყანამ, ან აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთმა ქვეყანამ, აშკარად ნავარაუდევი იყო იმისათვის, რომ შეცდომაში შეეყვანათ აზიის ქვეყნების დელეგაცია და, ამრიგად, დაეყოლიებინათ ისინი მზარი დაეჭირათ ფილიპინების კანდიდატურისათვის. მაგრამ, როგორც გუშინდელი კენჭისყრის შედეგებმა ცხადყო, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ამ მანევრს, ისევე როგორც წინა მანევრებს, წარმატება არა ჰქონია. გუშინ კენჭისყრის ცხრა ტურის შედეგად ფილიპინებმა ვერ მიიღეს საჭირო რაოდენობა — ხმების ორი მესამედი (37.39 ხმა). ფილიპინებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა მერყეობდა 25 და 31 ხმას შორის, იუგოსლავიისათვის მიცემული ხმები კი — 26 და 28 ხმას შორის.

კენჭისყრის 21 ტურის შედეგები აგრეთვე მოწმობენ იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია კენჭისყრისას ეშყარება უმთავრესად ლათინური ამერიკის ქვეყნების მხარდაჭერას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დელეგაციების თითქმის ნახევარი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულმა შტატებმა უკანონოდ ძალით გაიყვანონ ფილიპინების კანდიდატურა უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის ადგილზე, რომელიც უფლებათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს ეკუთვნით.

გუშინდელ სხდომაზე კენჭისყრის უშედეგო ცხრა ტურის შემდეგ ინდოეთის დელეგაციის წინადადებით უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის არჩევნები ორი კვირით გადადიდო.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას საჰაერო მიმოსვლის შესახებ სსრ კავშირსა და ავსტრიას შორის

ვენა, 10 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ვენაში ფედერალური კანცლერის კანცელარიაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საჰაერო მიმოსვლის შესახებ სსრ კავშირსა და ავსტრიას შორის. საბჭოთა კავშირის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ავიაციის მარშალმა ს. ფ. ჟავორონკოვმა, ავსტრიის მხრივ — ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ფიგლმა.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ს. ფ. ჟავორონკოვმა და ლ. ფიგლმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ლ. ფიგლმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ამ შეთანხმების დიდი მნიშვნელობა და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მოლაპარაკება მომდინარეობდა ორივე სახელმწიფოს გულწრფელი მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით. ხელშეკრულების დადება დიდ საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის, თქვა ფიგლმა, იმას მოწმობს, რომ სსრ კავშირი პატივისცემით ეკიდება ჩვენს ქვეყანას როგორც თანასწორუფლებიან და სუვერენულ პარტნიორს.

დაიდო შეთანხმება ბირმასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ

რანგუნი, 9 ნოემბერი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კომუნიკე ბირმის კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც რანგუნში მიმდინარეობდა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბირმასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ. შეთანხმება ემყარება თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპს.

შეთანხმების შესაბამისად ბირმის სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავები იფრენენ ორივე მიმართულებით მარშრუტით რანგუნი — მანდალაი-კუნმინი — კანტონი, ხოლო ჩინეთის სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავები მარშრუტით კუნმინი — მანდალაი-რანგუნი და უკან.

ბირმასა და ჩინეთს შორის საჰაერო მიმოსვლის დაწესება, როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში

პარიზი, 9 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოდე რესპუბლიკის საბჭო — საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატა განიხილავდა კანონპროექტს იმის შესახებ, რომ ეროვნული კრების ახლანდელი შემადგენლობის რწმუნებანი შეწყდეს 1956 წლის 2 იანვარს, ესე იგი კანონპროექტს პარლამენტის კადამდე არჩევნების შესახებ.

კამათის შემდეგ საბჭომ 227 ხმით 60 ხმის წინააღმდეგ ეს კანონპროექტი მიიღო ამ შესწორებით, რომელიც ითვალისწინებს არჩევნებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ისე, რომ კენჭისყრა მოხდეს ოლქებში ორ ტურად. ანალოგიური საარჩევნო სისტემა საფრანგეთში იყო ომამდე. საფრანგეთის პროგრესულ საზოგადოებრიობას ჯერ-ერთხელ აღენიშნავს ამ სისტემის ანტიდემოკრატიული ხასიათი.

კანონპროექტი დაუბრუნდა ეროვნულ კრებას მეორე წაკითხვისათვის. რადგან კანონპროექტში შეტანილია შესწორება საარჩევნო სისტემის შეცვლის შესახებ, პარიზელ მიმომხილველთა აზრით, იგი გამოიწვევს ახალ მწვავე დისკუსიას ეროვნულ კრებაში, რამაც შეიძლება კვლავ შეუქმნას საფრთხე იმ საკითხის გადაწყვეტას, რომ ვადამდე არჩევნები მოეწყოს მიმდინარე წელს.

აღბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის სსრ კავშირში ჩამოსვლისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარეს გოგო ნუშის შემდეგი წერილი გაუგზავნეს:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს პატივი აქვს მოიწვიოს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

რწმენას გამოვთქვამთ, რომ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხების გულწრფელ და დიდ მეგობრობას და მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ალბანეთისა და სსრ კავშირის მჭიდრო და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ჩვენ მადლობელი ვიქნებოდით, თუ შეგვატყობინებდით ჩვენი მოწვევის მიღებას და სსრ კავშირში თქვენი დელეგაციის ჩამოსვლის მიზეზს ვადას“.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარემ გოგო ნუშამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეებს ა. პ. ვოლკოვსა და ვ. ტ. ლაცის გამოუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც ნათქვამია:

„ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრება დიდ მადლობას მოგახსენებთ იმის გამო, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო სახალხო კრების დელეგაციას იწვევს ესტუმროს საბჭოთა კავშირს, და გაცნობებთ, რომ სიხარულით ვიღებთ ამ მოწვევას.

ალბანელი ხალხი გამსჭვალულია მზურვალე სიყვარულითა და გულწრფელი მეგობრობით დიდი საბჭოთა კავშირისა და მისი სახელოვანი ხალხებისადმი, რომლებმაც ალბანელი ხალხი გაათავისუფლეს ფაშიზმისაგან და რომლებიც უხვად ეხმარებიან მას შემომქმედებითს შრომასა და სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფაში. ალბანელ ხალხს თავის ყველაზე დიდ მიღწევად მიაჩნია მეგობრობა საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან, მეგობრობა, რომელიც წარმოშობილია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, მეგობრობა, რომელიც გამოიწრთო ფაშიზმთან დიდ ბრძოლაში და განუხრელად მტკიცდება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საერთო გზაზე, რომელსაც ჩვენს ხალხს უნათებს საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა გენიოსობა და გამოცდილება. ალბანელი ხალხი უაღრესად მადლობელია დიდი საბჭოთა კავშირისა ამ ძმური და გულუხვი დახმარებისათვის, რასაც იგი გვიწევს სოციალიზმის მშენებლობაში და რაც ალბანეთში სოციალიზმის გამარჯვების პირობა და გარანტიაა. დარწმუნებული ვართ, რომ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს. სოციალიზმის აშენების საბჭოთა გამოცდილების დაუფლების საქმეს და ჩვენი ხალხების სიყვარულისა და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

გულითად მადლობას გიმღვნით რა მოწვევისათვის, გაცნობებთ, რომ ჩვენი დელეგაცია მოსკოვს გამოემგზავრება ამა წლის ნოემბრის შუა რიცხვებში“.

თბილისი. რკინიგზის მეოთხე სანავაგონო ბაზის ეზოში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეოცე სეზონი სახელმწიფო თეატრში

ფოთი. („კომუნისტის“ კორ.). ვოინიჩის რევოლუციური დრამა „კრაზანათი“ დაიწყებს მეოცე სეზონი სახელმწიფო თეატრმა. სეზონის ტაკლი, რომლის დადგმა ეკუთვნის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს შ. მეძმარიაშვილს, მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

წლევანდელ სეზონში თეატრი მაყურებელს უჩვენებს შემდეგ ახალ დადგმებს: ლ. ქიაჩელას „ტარიელ გოლუას“, ვ. კანდელაკის „ბიბ წყნეთელს“, ჯიაკომატის „დამნაშავის ოჯახი“ და სხვ., სულ 9 პიესას. თეატრი მომსახურებას გაუწევს როგორც ქალაქს, ისე მეზობელ რაიონებს — ცხაკაიას, ლანჩხუთის, ხობის, აბაშის მშრომელებს.

ახალი შემნახველი სალაროები

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით შემნახველ სალაროთა ქსელი სისტემატიურად ფართოვდება. უკანასკნელ ხანებში ახალი შემნახველი სალაროები გახსნილია კურორტებსა, წყალტუბოში, სოხუმში, გუდაუთაში, ქობულეთში, გაგრაში, აგრეთვე თბილისში, ქუთაისში, ფახარაძეში, ლაგოდეხში, სენაკში, ფოთსა, თელეწყაროში, ცხაკაიაში, ახალქალაქსა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. წელს რესპუბლიკაში გახსნილია 21 ახალი შემნახველი სალაროები. სულ კი ამჟამად მოსახლეობას ემსახურება 73 შემნახველი სალარო.

მარტო 10 თვის განმავლობაში ანაბრებმა თანხა რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში 63 მილიონი მანეთით გაიზარდა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის სალამო

დღეს, 11 ნოემბერს, თბილისის ზ. ფალავანდიშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში უცხოელთათვის კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობა აწყობს საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის საღამოს. საღამოზე მოსალოდნელ იქნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორი ს. ... დურმიშიძის მოხსენება „საბჭოთა და გერმანელი ხალხების ურღვევი მეგობრობა“.

მოხსენების შემდეგ გაიმართება კონცერტი. საღამო დაიწყება 8 საათზე.

ტანსაცმლის ზამთრის ფორმაზე გადასვლის შესახებ

ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების, შტაბების, სამმართველოების, დაწესებულებებისა და სამხედრო სასწავლებლების ... რადი შემადგენლობა 1955 წლის 14 ნოემბრ... დან გადადის ტანსაცმლის ზამთრის ფორმაზე.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

კანადის მშვიდობის ასამბლეამ მუშაობა დაამთავრა

ტორონტო, 7 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა კანადის მშვიდობის ასამბლეის პლენარული სხდომა. სხდომაზე გამოსული დელეგატები გამოხატავდნენ კანადის ხალხის ღრმა მისწრაფებას იცხოვროს მშვიდობით, გაფართოოს ვაჭრობა და განამტკიცოს კულტურული ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ხალხთან.

თავიანთ გამოსვლებში ისინი აღნიშნავდნენ, რომ „ჟენევის სულისკვეთების“ განხორციელებისათვის საჭიროა მთავრობებმა უარი თქვან სამხედრო ბლოკების პოლიტიკაზე, აკრძალონ მასობრივი მოსპობის იარაღი, შეამცირონ ჩვეულებრივი შეიარაღება, მოსპონ სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე, არ დაუშვან მილიტარიზმის აღორძინება დასავლეთ გერმანიაში.

დელეგატმა ნორმან ფრიმ აღნიშნა, რომ კანადის მშვიდობის მომხრეთა ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მონაწილეებმა აღმოფხვრან არსებული უთანხმოება მოლაპარაკების გზით და უარი თქვან „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის განხორციელებაზე.

სრულიად კანადის სლავთა კონგრესის მდივანმა ბოიდმა მოუწოდა გაფართოვდეს კანადის კულტურული კავშირი სლავთა ქვეყნებთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდოეთთან.

კანადის მშვიდობის ასამბლეის სახელზე მიღებულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, იაპონიის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტების, გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის ჯონ ბერნალის, კანადის სხვადასხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეული საზოგადო მოღვაწეების მისალმებანი.

კანადის მშვიდობის ასამბლეამ წერილი გაუგზავნა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირის მონაწილეებს. აგრეთვე მიიღო მმართვა კანადის ხალხისა და მთავრობისადმი.

მმართავს რა კანადის მოსახლეობას, ასამბლეა აღნიშნავს: „ჩვენ შეგვიძლია გადავდგეთ და კიდევაც უნდა გადავდგათ საჭირო ნაბიჯები საყოველთაო მშვიდობის უზრუნველსაყოფად“.

კანადის მთავრობისადმი მმართავა შეიცავს მოწოდებას ხელი შეუწყოს შეთანხმების მიღწევას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ, ეცადოს, რომ უფრო მჭიდრო კონტაქტი დამყარდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, განავითაროს სამეთა კავშირ-კანადის ურთიერთობა. დასასრულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ კანადამ ევროპის თათბირის მონაწილეებს უნდა განუცხადოს, რომ მათ არ უნდა დაუშვან თავიანთი მუშაობის ჩაფუშვა.

6 ნოემბერს საღამოს კანადის მშვიდობის ასამბლეამ მუშაობა დაამთავრა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის მოლაპარაკება იუგოსლავიაში

ბელგრადი, 7 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის საგენტო ეუწყება, გუშინ ნაშუადღევს კუნძულ ბრიონზე გაიმართა მოლაპარაკება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ ტიტოსა და სახელმწიფო მდივან დალესს შორის. მოლაპარაკებას იუგოსლავიის მხრივ დაესწრნენ საგარეო საქმეთა მინისტრი კოჩა პოპოვიჩი. ამერიკის მხრივ მოლაპარაკებას დასწრნენ შეერთებული შტატების ელჩი იუგოსლავიაში ჯეკობ რიდლბერგერი და დუგლას მაკარტური მეორე.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ ტიტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ 6 ნოემბერს საღამოს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ აღინიშნა თანხმობა მთელ რიგ საკითხებში, განსაკუთრებით საკითხში იმის შესახებ, რომ შესაძლებელი და საჭიროა შემდგომი ღონისძიებანი საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებისა და ორივე ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის გაფართოების მიზნით.

კომუნიკეში ნემდეგ ნათქვამია, რომ მოლაპარაკებამ კვლავ დაადასტურა პირადი კონტაქტის სარგებლობა, რათა გამორკვეს ერთმანეთის შეხედულებანი და ხელი შეუწყოს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით.

კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მოხდა აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის და ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე და რომ სახელმწიფო მდივანმა დალესმა თავის პრეს-კონფერენციაზე გააშუქა განხილული საკითხები.

ბელგრადი, 7 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის საგენტო კუნძულ ბრიონიდან იუწყება, გუშინ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტ ტიტოსთან მოლაპარაკების შემდეგ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა უმნიშვნელოვანესი მიმდინარე საერთაშორისო პრობლემები. კერძოდ, მოლაპარაკების მთავარი თემა იყო ინფორმაცია, რომელიც ბ-ნმა დალესმა წარუდგინა პრეზიდენტ ტიტოს ჟენევის თათბირის მიმდინარეობის შესახებ, და განსაკუთრებით ევროპის უშიშროებისა და გერმანიის საკითხზე. დალესმა დასძინა, რომ მას სურდა მოესმინა პრეზიდენტ ტიტოს აზრი ამ პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობის შესახებ. განხილულ იქნა აგრეთვე მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტ ტიტო ამირებს ეგვიპტეში გამგზავრებას, რასთან დაკავშირებითაც მას შეუძლია გადასცეს ეგვიპტის პრემიერ ნასერს მათი საერთო აზრი. დალესმა შემდეგ განაცხადა, რომ განხილულ იქნა აგრეთვე მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და საკითხი ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის შესახებ, ამასთან დასძინა, რომ მიღწეულ იქნა საერთო აზრი, რომ ამ ქვეყნებს აქვთ დამოუკიდებლობის უფლება გარედან ვინმე ჩაურევლად, აგრეთვე უფლება, რომ თვითონ გადაწყვიტონ, რაც მათ სურთ.

ბელგრადი, 7 ნოემბერი. (საკდესი). ბელგრადის რადიოს ცნობით, გუშინ საღამოს იუგოსლავიიდან ჟენევას გაფრინდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი.

დისერტაციის დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1955 წ. 23 ნოემბერს, დღის 3 საათზე, № 93 აუდიტორიაში ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ბორის ეპიფანეს-ძე ყურაშვილი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Гельминты охотничье-промысловых птиц Грузии в фаунистическом и экологическом освещении“

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ДОЙНИ ХЕЛМОЩЕРА

1956 წლისათვის გაზეთზე „МОСКАУ НИУС“ (ინგლისურ ენაზე), აგრეთვე ახალ ყოველთვიურ ჟურნალებზე:

1. „Нефтяник“,
2. „Социалистический труд“
3. „Судостроение“
4. „Строительное и дорожное машиностроение“
5. „Торговля за рубежем“
6. „Химия и технология топлива“.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, კავშირგაბმულობის განყოფილებებსა და საგენტოებში.

„სოიუზპეჩატი“.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

(ვეფხისტყაოსნის მოედანი, ტელ. 3-55-27)

დღეს და ყოველდღე

ლ ო მ ე ბ ი ს

ატრაქციონის გასტროლები

გაგრძელება

მონაწილეობენ: რუსეთის დამსახურებული არტისტი

ალექსანდრე და თამარ ბუსლაევები

პროგრამის მთლიანად გამოცვლა

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ. ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში და რუსთაველის პროსპ. № 1 და 24, ჩელიუსკინელების ქ. № 31. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე. ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.

ქვირაობით ორი საბავშვო წარმოდგენა

ლომების ატრაქციონის მონაწილეობით.

დასაწყისი I — 12., II — 3 ს.

მეუღლე აგრაფინა, შვილები მიხეილ, თამარ, პაშა, ვარა, ალიოშა ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

სამსონ კონსტანტინეს-ძე ჯაფარიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XI ზედა საზანოში (თერჯოლის რაიონი).

მეუღლე ელენე, შვილები ნინო, მიშა, თამარ, ფერი ოჯახებით იუწყებიან

ყარამან ალექსანდრეს-ძე საფაროვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XI ქ. მახარაძეში, გამოსვენება ბინიდან, ხრუშჩოვის ქ. № 2.

მოქალაქე **ავთანდილ პავლეს-ძე ჭიპაშვილმა**, მცხოვრებმა ენაკიევის რაიონში, ქ. სტალინო, ოსიპენკოს ქ. № 11, აღძრა საქმე ქ. თბილისში კალანდაძის ქ. № 32 მცხოვრებ მოქალაქე **ნათელა თეოფილეს ასულ ლეონავასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

დედა რაისო, მამა ლავრენტი, მეუღლე გულნარა, შვილები ლევან, სოფიო, და ციალა, ძმა ნოდარ იუწყებიან

ილია ლავრენტის-ძე თოიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XI სოფელ მაკვანეთში (მახარაძის რაიონი).

დედა ნინო, მეუღლე ელენე, შვილები იუზა, ზაირა, ლალი, ძმა გიორგი, დები საშა, ლოლა, ეკატერინე, ტატიანა ოჯახებით იუწყებიან

ლეო ივანეს-ძე ყაჭეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XI სოფელ შუა განახლებაში (ჩოხატაურის რაიონი).

მეუღლე იულია, შვილები ეკატერინე, ლეონა, საშა, ძმები თეოფილე, ანოლიტე ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

პეტრე სარინოს-ძე მაღნარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-XI, 7 ს. გამოსვენება 12-XI, 4 ს. სახლ. ნავთლუღი, რკინიგზის სახლი № 1.

ძმა დავით, და ეთერ ოჯახებით იუწყებიან

ნიკო დავითის-ძე გიორგაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XI, 5 ს. სოფელ მეორე სვირში (ზესტაფონის რაიონი).

შვილები პორფილე, გრამიტონ, ვლადიმერ ოჯახებით იუწყებიან

ადათი დაის ასულ ჯაჯვანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XI, სოფელ ლენჯერში (მესტიის რაიონი).

მოქალაქე **გრიგოლ ივანეს-ძე უმიკოვმა**, მცხოვრებმა ფალიაშვილის ქ. № 80, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მანია მიკერტიჩის ასულ ბაბაჯანიან-უმიკოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

გრიგოლ კაციას-ძე ჯიბიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-XI სოფელ აღვში (ცაგერის რაიონი).

დედა ცერა, მეუღლე მარო, შვილები გიორგი, დურმიშხან, დები ნინო, ელენე, გულნარა, ძმა გუშა იუწყებიან

ვოგი კონსტანტინეს-ძე ფანჩულიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XI სოფელ ძევრში (თერჯოლის რაიონი).

მეუღლე გიორგი, დედა ანეტა, მამა სერგო, ძმები გენადი, შალვა, და ღალანა ოჯახებით იუწყებიან

დოდო სერგოს ასულ ხიდაშელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XI ქ. ქუთაისში, გამოსვენება თბილისის ქ. № 52.

შვილები ფეოდორა, ეთერ, ნადია, შალვა, კალისტრატე ოჯახებით იუწყებიან

პელაგია ნიკოლოზის ასულ ჩიხლაძე-გაბიხონიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-XI სოფელ გეგეჭკორში (ტეგეჭკორის რაიონი).

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან

ილია ვლადიმერის-ძე ჯანდიერის

გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა შენებლობის, კორესპონდენტთა ჭესელისა და პარტიულოსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომწვევის—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ᲣᲔ 06933

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.